პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 20 კაპ.

20/73

სალიტერატურო გაზეთი

1932 აპრილის 1

საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ათდღიური გაზეთი

№ 8

მხატვრული პროზის ბოლშევიკური ხარისხისათვის

5 აპრილს, მწერალთა სასახლეში გაიხსნება საწარმოო თათბირი პროზის საკითხებზე. ამ თათბირმა უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აიყვანოს შემოქმედებითი დისკუსია, უნდა შეიტანოს მასში მეტი იდეური პარტიული პრინციპიალობა და სიმახვილე, მეტი თეორიული სიღრმე და კონკრეტულობა, დაგროვილი მხატვრული პროდუქციის მარქსისტულ-ლენინური ანალიზით და ამ ნიადაგზე მიღებული დასკვნების თეორიული განზოგადოებით.

მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ჩატარებული ორი დისკუსიის მთელი გამოცდილება. ყველაფერი ზედმეტი და შემთხვევითის, საპოლემიკო გატაცებიდან, თუ პირადი განწყობილებიდან გამომდინარე მომენტების თავიდან აცილებით პროზის საწარმოო თათბირი უნდა გადაიქცეს ბოლშევიკური შემოქმედებითი მეთოდისათვის და მხატვრული პრაქტიკის მაღალი, ჩვენი ეპოქის შესაფერი ხარისხისთვის გაშლილ ბრძოლად. ასეთია საერთოდ საბჭოთა მწერლობაში წარმოებული შემოქმედებითი დისკუსიის და კერძოთ ამ თათბირის ძირითადი ამოცანა.

მხატვრული პროზა საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი უძლიერესი სექტორია. მუშათა კლასის მებრძოლთა პრაქტიკამ, გაშლილ სოციალისტურ მშენებლობამ და მისმა საუკეთესო ენტუზიასტებმა უნდა ჰპოვოს მხატვრული პროზის დარგში თავისი ღრმა და ნამდვილი გამოხატულება.

მხოლოდ „მემარცხენე" მექანისტებს, „ლეფელებს" და „ლიტფრონტელებს" შეეძლოთ უარეყოთ მხატვრული პროზის მნიშვნელობა კულტურულ რევოლიუციის სისტემაში. ...თ მოინდომეს მხატვრული პროზის მთელი მოცულობა დაეყვანათ მხოლოდ მიმოხილვის, ნარკვევისა და ...შეუარების ჟანრამდე. მათ წამოაყენეს „ფაქტის ლიტერატურის" თეორია, რომელიც არსებითად პასიური ...რეტელობითი ნატურალიზმს უდ... ამ თეორიის ფილოსოფიური ... მექანიციზმსა და ვულგა... მატერიალიზმში მდგომარეობს, ...აფერი აქვს საერთო მუშათა ... მსოფლმხედველობასთან, ...და ლენინის მატერიალის... დიალექტიკასთან.

...ენთვის მხატვრული პროზის ...პრობლემა არ განისაზღვრება ჟანრების საკითხით. **ჩვენთვის უმთავრესია მხატვრულ პროზაში დიალექტიკურ მატერიალისტური შემოქმედებითი მეთოდის დამკვიდრება,** ჩვენ გვჭირდება არა მარტო კონკრეტულ თარიღების ფიქსაციით განსაზღვრული ჟანრები, არამედ ამ კონკრეტული მასალების განმაზოგადოებელი ფართო ტილოები, რომლებშიაც შესაფერის სიღრმით და სირთულით, მოცულობით და მრავალფეროვნებით იქნება წარმოდგენილი მუშათა კლასის გმირული ბრძოლა და მშენებლობა — სინამდვილეზე ზემოქმედების, მის განვითარებაში მონაწილეობის თვალსაზრისით.

საწარმოო თათბირმა ხაზი უნდა გაუსვას პროზის მნიშვნელობას საბჭოთა და პროლეტარული მწერლობის განვითარებაში, სათანადო შეფასება უნდა მისცეს მის ყველა ჟანრებსა და სახეობებს პროლეტარული იდეოლოგიის თვალსაზრისით.

კერძოთ ქართული მხატვრული პროზა, პროლეტარული რევოლიუციის წინა პერიოდში მივიდა დაკნინებისა და დეკადანსის უკიდურესობამდე. იგი განისაზღვრებოდა თითქმის მხოლოდ მინიატურითა და ნოველებით. გაჩნდენ ისეთი „თეორეტიკოსებიც", რომელთაც სცადეს პროზის ასეთი დაცემისათვის მიზეზები „ქართველი ხალხის ნაციონალური სპეციფიკაში" მოეძებნათ და შექმნეს კიდეც „თეორია" საქართველოში რომანის დაწერის შეუძლებლობის შესახებ.

მხოლოდ პროლეტარული რევოლიუციის ნიადაგზე გაშლილმა უდიდესმა შემოქმედებით შესაძლებლობებმა, დროის შედარებით მცირე მანძილზე, მოგვცა მხატვრული პროზის სწრაფი და ძლიერი განვითარება საქართველოში. დღეს უკვე ქართული მხატვრული პროზა საბჭოთა და პროლეტარული ლიტერატურის უძლიერეს დარგს წარმოადგენს. მაგრამ როგორც მთლიანად ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება, ისე მხატვრული პროზის განვითარებაც მიმდინარეობს მკაცრი კლასობრივი დიფერენციაციის გზით.

მემარჯვენე მწერალთა მხატვრული პროზა გაჟღენთილი ფეოდალურ, ბურჟუაზიული, კულაკური და წვრილ-ბურჟუაზიული განწყობილებებით, ავრცელებს [illegible] მასებში რეაქციონურ-ნაციონალისტურ იდეებს. საწარმოო თათბირმა დაუინდობლად უნდა გამოამჟღავნოს ასეთ მწერალთა რეაქციონური ბუნება; კონკრეტულ მასალათა ანალიზზე ნათელი უნდა გახადოს მათი მავნებლური ხასიათი, მათი შეუთავსებლობა საბჭოთა მწერლობის ამოცანებთან და ამით ხელი უნდა შეუწყოს ლიტერატურის მემარჯვენე სექტორის იდეურ განიარაღებას.

თანამგზავრ მწერალთა მხატვრულ პროზაში ჯერ კიდევ ბევრია მერყეობისა და გაურკვევლობის მომენტები, „ნეიტრალობისა" და „აპოლიტიზმის" ტენდენციები; რევოლიუციასთან დაახლოვების გაუბედავი და მერყევი ტემპები. თათბირმა ბოლშევიკური პირდაპირობით უნდა ამხილოს ასეთი მწერლები და ამით იმპულსი მისცეს თანამგზავრთა ნაკის დიფერენციაციის და გამოცალკევების დაჩქარებას, მწერალთა ამ ფენის საუკეთესო ნაწილის მოკავშირეობის სიმაღლემდე ასვლას.

მხატვრული პროზის დარგში ჩვენ უკვე მოვეპოვება რამდენიმე ნაწარმოები, რომელთაც შეგვიძლია მოკავშირული მხატვრული პრაქტიკა უწოდოთ, მაგრამ ამ ნაწარმოებთა ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი ავტორები მიუხედავათ ძველი იდეოლოგიიდან კატეგორიულად დაშორებისა, ჯერ კიდევ ვერ დაუფლებიან მუშათა კლასის მსოფლმხედველობას, ჯერ კიდევ ვერ მოუმარჯვებიათ თავის შემოქმედებაში მატერიალისტურ დიალექტიური მეთოდი. საწარმოო თათბირის ამოცანაა ამხანაგური კრიტიკის ნიადაგზე მიუთითოს თანამგზავრ, მოკავშირე მწერლების ყოველი კონკრეტული მარცხისა და ჩავარდნის ფაქტს, რაც დიდ დახმარებას გაუწევს მწერალთა კადრებს საბოლოოდ გადავიდენ პროლეტარული იდეოლოგიის რელსებზე.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული სიძლიერით იზრდება პროლეტარული მხატვრული პროზა. ჩვენი მწერლობის პროლეტარულ სექტორს პროზის დარგშიაც უკვე წამყვანი და ხელმძღვანელი როლი აქვს მოპოვებული, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ პროზის პროლეტარულ ოსტატთა შემოქმედებაში სათანადო სიღრმითა და სიძლიერით გამოიხატულიყოს სოციალიზმის მშენებელი დღევანდელობა და მუშათა კლასის მებრძოლი პრაქტიკა; სოცმშენებლობის ტემპებისაგან ჩამორჩენილობა აქაც საგრძნობი და უდავო ფაქტია, საწარმოო თათბირმა მახვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიადაგზე უნდა გადასინჯოს პროლეტარული პროზის მთელი პროდუქცია და მისი იდეურ მხატვრული უპირატესობის აღნიშვნასთან ერთად ხაზი უნდა გაუსვას ყველა იმ დეფექტებს და ნაკლოვანებებს, რომელთაც ადგილი აქვს პროლეტ-მწერალთა შემოქმედებაში და რომელთა დაძლევა არის აუცილებელი პირობა მხატვრული პროზის „მაგნიტოსტროების" შესაქმნელად.

საწარმოო თათბირმა დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხში შეპარულ იმ ორ უკიდურესობას, რომელიც ცნობილია ერთის მხრივ კლასიკოსებისადმი უპრინციპო ეპიგონობისა და მიმბაძველობის, ხოლო მეორეს მხრივ მათდამი ნიჰილისტურ, უარყოფითი დამოკიდებულების სახით; საწარმოო თათბირმა სასტიკად უნდა ამხილოს იმ მწერალთა აზროვნების რეაქციონური შინაარსი, რომლებიც უარყოფენ მწერლობის თანამედროვე მასალებზე მუშაობის შესაძლებლობას და რომელთაც სურთ „დისტანციის თეორიის" და მსგავს დებულებათა წამოყენებით მწერლობა მოსწყვიტოს სოციალისტურ მშენებლობის დღევანდელობას; თათბირზე მკაცრად უნდა იქნას გაკრიტიკებული საბჭოთა მწერლობაში შეპარული ის შეხედულება, რომელიც უარყოფს ლიტერატურულ შემოქმედებაში მეთოდისა და იდეურ პარტიულობის აუცილებლობას. ამასთანავე ერთად საწარმოო თათბირმა უნდა გაფანტოს ზოგიერთ მწერალთა „თვითკმაყოფილებითი" განწყობილება, უნდა გვიჩვენოს მხატვრული პროზის სოც-მშენებლობის ტემპებისაგან ჩამორჩენილობის ნამდვილი მიზეზები და მათი დაძლევისა და გადალახვის სწორი საშუალებანი უნდა დასახოს.

აღნიშნული პრობლემები თათბირმა უნდა დაამუშაოს არა „სქოლასტიურ თეორეტიულობის" გზით, არამედ ცოცხალი ლიტერატურულ პრაქტიკასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელის კონკრეტული შესწავლისა და ანალიზის ნიადაგზე. ამ გზით საწარმოო თათბირი შესძლებს განახორციელოს მის წინაშე დასახული ძირითადი ამოცანა, რომელიც ბოლშევიკური მხატვრული პროზისათვის ბრძოლაში მდგომარეობს.

საწარმოო თათბირზე უნდა გაიშალოს ბრძოლა ბურჟუაზიული საშიშროების წინააღმდეგ ლიტერატურაში. ამხ. სტალინის წერილი „პროლეტარული რევოლიუციის" რედაქციის მიმართ არის ამავე დროს პირდაპირი დირექტივა ჩვენი მარქსისტული კრიტიკისადმი, გაძლიერებული იქნეს ბრძოლა კლასობრივ მტერთან მთელს იდეოლოგიურ ფრონტზე, „დამპალ ლიბერალებთან", რომლებიც ხელს უწყობენ კლასიურ მტრებს. ორ ფრონტზე ბრძოლის გამახვილებით, ბრძოლით ლენინური ეტაპისათვის ჩვენ შევძლებთ განვახორციელოთ ის დიდი ამოცანები, რომელიც დასახულია პროზის საწარმოო თათბირის წინაშე.

მისალმება მ. გორკის

ჩვენი ეპოქის უდიდეს მწერალს, პროლეტარულ ლიტერატურის პირველ და საერთაშორისო მუშათა კლასის საბოლოო გა-მარჯვებისათვის თავდადებულ და დაუღალავ მებრძოლს—ჩვენი მხურვალე სალამი დაბადებიდან 64 წლის თავზე.

თქვენი შემოქმედების ყოველი ეტაპი ყოველთვის წარმოადგენდა მშრომელი მასების თვითშეგნებით შეიარაღებისა და მძლავრ კლასობრივ ბრძოლისათვის ამხედრების მძლავრ ფაქტორს. თქვენი ყოველი ლიტერატურული გამოსვლა მახვილი იარაღია სასიკვდილო აგონიაში გახვეული საერთაშორისო კაპიტალის საბოლოო განადგურებისათვის და მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მთლიანად თქვენი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჩვენთვის და მთელი ქვეყნის პროლეტარული მწერლობისათვის წარმოადგენს საუკეთესო ნიმუშს და მაგალითს იმისა, თუ როგორ უნდა იბრძოდეს პროლეტარიატის კლასობრივი ლიტერატურა თავისი კლასის იდეური პოზიციებიდან.

ის სიძულვილი და ზიზღი, რომელსაც იმსახურებთ თქვენ მომაკვდავი ბურჟუაზიის ბანაკში, ფერმკრთალია და უძლური იმ უსაზღვრო სიყვარული და თანაგრძნობასთან შედარებით, რომლითაც გამსჭვალულია თქვენს მიმართ კაცობრიობის საუკეთესო უმრავლესობა — მუშათა კლასის, მშრომელი მასების სახით.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენი შემოქმედებითი ენტუზიაზმი კიდევ დიდხანს წაუძღვება წინ ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლ მილიონებს და მის კლასიურ მწერლობას. ჩვენ ღრმად გვჯერა, რომ თქვენს მომავალ შემოქმედებაში ჩვენი ეპოქისათვის და თქვენი ლიტერატურული პოტენციისათვის შესაფერ გამოხატულებას ჰპოვებს ჩვენს ქვეყანაში ძლევა-მოსილად გაშლილი სოციალისტური მშენებლობა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლობის ფედერაცია საქარ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია

რომენ როლანი

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის სესიამ ფრანგი მწერალი **რომენ როლანი** ერთხმად აირჩია საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის საპატიო წევრად.

ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა

ყველას ახსოვს ძველი რუმიანცევის მუზეუმი მოსკოვში. მუზეუმთან იყო დამხმარე ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცული იყო 1.500.000 ტომი.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ რუმიანცევის მუზეუმი გადაკეთდა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკად, რომელთანაც მოეწყო აგრეთვე მუზეუმი. წიგნების, ხელნაწერების რიცხვი თითქმის ერთი ოთხად გაიზარდა. ძველი შენობა ველარ იტევს ამოდენა საგანძურს, ველარ იტევს მოზღვავებულ მკითხველსაც... და აი ვოზდვიჟენკასა და ვოლხონკას შუა ჩაიყარა უზარმაზარი სასახლე - ბიბლიოთეკის საძირკველი, რომელიც გარშემორტყმული იქნება ბაღებით და შადრევნებით.

ამ ბიბლიოთეკაში დაცული იქნება 6 მილიონი ტომი და მარტო თაროების სიგრძე მიაღწევს რამოდენიმე ათეულ კილომეტრს. სასახლე - ბიბლიოთეკაში მოეწყობა სამკითხველო დარბაზი რამდენიმე ათას მკითხველთათვის, მეცნიერთა და მწერალთა კაბინეტები. ეს ბიბლიოთეკა გადაიქცევა უზარმაზარ კომბინატად, რომლის მრავალრიცხოვან საამქროებში იწარმოებს შეუნელებელი მუშაობა მილიონიან მასების პოლიტიკური და ტეხნიკური აღზრდისათვის. ეს ბიბლიოთეკა იქნება სოციალიზმის მშენებელ კლასის ბიბლიოთეკა და მას მსოფლიო მნიშვნელობა ექნება.

ოქტომბრის რევოლიუციის 15 წ. თავისათვის

რუსთაველის თეატრი

რუსთაველის თეატრმა გადასწყვიტა ოქტომბრის 15 წლის თავისათვის დადგას პიესა, რომელიც მიიღებს პირველ პრემიას ოქტომბრის 15 ...ის თავთან დაკავშირებით გამოცხადებულ დრამატურგების კონკურსში.

ამასთან ერთად, თეატრი ოქტომბრის 15 წლის დღესასწაულთან დაკავშირებით ემზადება საკუთარი სა-...ტრო მუზეუმის მოსაწყობად.

სახელგამი

ოქტომბრის რევოლიუციის მე-15 წლის თავისათვის განზრახულია გამოცემულ იქნეს ხელოვნების დარგში შემდეგი ნაწარმოებები: მხატვრული პროზა — 10 ფორმა, პოეზია — 4 ფორმა, ლიტერატურული მიმოხილვა — 7 ფორმა, ქართული თეატრი — 4 ფორმა, კინო — 3 ფორმა, მუსიკა — 2 ფორმა, ქართული წიგნი რევოლიუციამდე და რევოლიუციის შემდეგ — 10 ფორმა.

გარდა ამისა, ოქტომბრის რევოლიუციის მე-15 წლის თავთან დაკავშირებით სახელგამის მიერ გამოცხადებულია კონკურსი საუკეთესო ლიტერატურულ მხატვრულ ნაწარმოებებზე.

ლ. ავერბახი

პირველად იყო საქმე...

გოეთე სასტიკად ილაშქრებდა საფრანგეთის რევოლიუციის წინააღმდეგ. ამის თვალსაჩინო საბუთებს ჩვენ ვპოულობთ არა მარტო მის მიწერ-მოწერაში, არა მარტო მის ეკკერმანთან საუბრებში, არამედ მის მხატვრულ ნაწარმოებებშიც. „დიადი კოფტა", „გენერალი—მოქალაქე", „აღშფოთებულნი", „გერმანელ ემიგრანტების საუბრები", დაუმთავრებელი ტრაგედია „ქალიშვილი ობერკირხიდან"—ყველა ეს ნაწერები წარმოადგენენ გოეთეს წვრილმან, ცილისწამებებით და გესლით სავსე, მხატვრულად სუსტ და ნაკლებად დამაჯერებელ პამფლეტებს საფრანგეთის დიდი რევოლიუციის წინააღმდეგ.

მაგრამ, წამოადგენდა თუ არა ეს ბრძოლას ფეოდალურ თავად-აზნაურობისათვის „ძველი რეჟიმის" სასარგებლოდ? იყო თუ არა ეს გერმანიის ბურჟუაზიისაგან რენეგატულ ჩამოშორების მაჩვენებელი? თუ ეს იყო „მშვიდობიანი" ბურჟუაზიული განვითარების პროპაგანდა გარეშე პარიზის განაპირა უბნების უკიდურესობათა, გარეშე იაკობინელებისა და ტერორისა, გარეშე ძალდატანებითი გადატრიალებისა, ნახტომებისა და კატასტროფებისა? „ჰერმან და დოროთეა"—პოემა, დაწერილი 1797 წელს, იძლევა საკმაო პასუხს ამ კითხვაზე. ეს, რასაკვირველია, დაპირისპირებაა მშვიდობიანობის და წესიერებისა რევოლიუციის „ქაოსის" და „უწესრიგობის" მიმართ? ეს, რასაკვირველია, „დადებითის ჩვენებაა წინააღმდეგ საფრანგეთის საშინელი უარყოფითი მაგალითებისა? ეს, რასაკვირველია, განსაკუთრებით მეშჩანური და ფილისტერული იდეალიზაცია თავად-აზნაურობისა, მემამულე-არისტოკრატებისა, ძველი რეჟიმის წარჩინებულთა? არა, ეს არის წვრილი ბიურგერის, სოფლის შეძლებულ მშრომელის, მაგალითის მაჩვენებელ ბურჟუას ზნე და ყოფაქცევის აღტაცებული ქება-დიდება...

საფრანგეთის რევოლიუციისადმი უარყოფითი განწყობილება ახასიათებდა თითქმის მთელ გერმანულ ბურჟუაზიას. გერდერი და ფორსტერი წარმოადგენენ გამონაკლისს. გოეთეს შეხედულებანი არიან გამომხატველნი მისი კლასისა, რომელსაც მრავალ წვრილ მბრძანებლისა და თავადების წინაშე ლაქიობა ერჩია საფრანგეთის მაგალითის მიბაძვას. განა ბურჟუაზიულ ჟირონდას ემიგრაციასთან ბლოკი არ ერჩია ხელოსნებთან კავშირს, განაპირა უბნების პროლეტარიატის წინაშე? განა არ იყო ბურჟუაზია დაშინებული იმ ძალებით, რომლებიც ხელს უწყობდენ მის ბრძოლას ძველი რეჟიმის წინააღმდეგ? უმჯობესია მუცელზე ხოხვა, ვიდრე გილიოტინის დანა!

საფრანგეთის რევოლიუციისადმი გოეთეს განწყობილებაში [illegible] ორმაგობის აღმოჩენა—და ეს გაორება არ შეადგენს მის საკუთრებას: ეს არის გაორება გერმანიის ბურჟუაზიისა, რომელიც მიილტვის ბურჟუაზიულ ნაციონალურ მთლიანობისაკენ, მაგრამ რომელსაც არ შესწევს ძალა რევოლიუციისათვის და ეშინია „პლებეების" ბრძოლისა.

მიუხედავად ამისა,—ეს გაორება, რომელიც გამომდინარეობს გერმანულ ბურჟუაზიის განვითარების და მდგომარეობის თავისებურობებისაგან,—არის კლასიკური თვისება ბურჟუაზიის მოქმედებისა ყოველივე ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობაში, რომელიც აღვიძებს ცხოვრებისათვის მშრომელთა ქვედა ფენებს.

მართალია, გოეთე ბევრ რამეში უთმობდა ფეოდალიზმს და ეს შეესაბამებოდა თანამედროვე ბურჟუაზიის თვალსაზრისს. მაგრამ იმავე დროს ხშირად გოეთე ბევრში წინ უსწრებდა მას. დიახ, გოეთე განზე იდგა ნაპოლეონის მიერ წარმოებული „გერმანიის [illegible]" [illegible] კლასიკური ხასიათი ნაპოლეონის ომებისა, რომლებმაც გერმანულ სახელმწიფოთა რიცხვი შეამცირეს სამასიდან ოცდა თერთმეტამდე და რომლებმაც გერმანიის მრავალ კუთხის გლეხობა გაანთავისუფლეს პირად დამოკიდებულებისაგან... და შემთხვევითი მოვლენა არაა, როდესაც გოეთეს უსაყვედურებდენ სიძულვილის უქონლობას ეგრედ წოდებულ განმანთავისუფლებელ ომების დროს საფრანგეთის წინააღმდეგ. დიახ, გოეთეს არ ჰქონდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსი — მას არ სწამს გერმანულ ბურჟუაზიის უნარიანობა გერმანიის გაერთიანების და მის ნაციონალურ განვითარების წინამძღოლობის საქმეში, თუმცა იმავე დროს მან იცოდა, რომ ნაპოლეონის გამარჯვება არის დასაწყისი „მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქისა"[1].

მაგრამ შესაძლოა გოეთეს ნაპოლეონისადმი განწყობილებაში თავს იჩენდა აღტაცება ძლიერი ხელისუფლებით დამყნარებულით, დამამშვიდებელის წინაშე—ყოფთან ერთად ახალ რყევის, ძალთა განწყობილებების ახალ მკვეთრ ცვლილებების, ისტორიულ მასშტაბის, საზოგადოებრივ ახალ ცვლილებების წინაშე.

ამ ხანაში გოეთე უკვე ძალიან მოხუცებული—მოვიგონოთ, რას ეუბნებოდა ის ეკკერმანს: „ჩვენ კამათობენ არისტოკრატიაზე და დემოკრატიაზე, საქმე კი სულ მარტივია: ახალგაზრდობაში, როდესაც ჩვენ არაფერი გვაქვს, ან როდესაც ჩვენ არ ვაფასებთ მშვიდობიან მფლობელობას, ჩვენ დემოკრატები ვართ, მაგრამ, თუ ჩვენი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე შევიძინეთ საკუთრება, ჩვენ უკვე გვსურს, რომ ის იყოს არა მარტო ჩვენი, არამედ რომ ჩვენი შვილები და შვილიშვილები სარგებლობდნენ ამ მემკვიდრეობით. აი რატომ ვხდებით ჩვენ მოხუცებულობაში არისტოკრატები, თუმცა ახალგაზრდობაში ვაღიარებდით სხვა იდეებს". „უცნაური რამ არის თავისუფლება—ამბობს მეორე ადგილას გოეთე,—ყველას შეეძლო იქონიოს იგი საკმაოდ, თუ კი მოახერხებს მის მოპოებას და დაკმაყოფილდება იმით, რაც აქვს. მეშჩანი იმდენადვე თავისუფალია, როგორც აზნაური, სანამ უჭირავს თავისი თავი ღვთისაგან მინიჭებულ საზღვრებში, იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელშიაც ის დაიბადა".

რითი არის აღტაცებული გოეთე „ვილჰელმ მეისტერში"?—„შინაური ყოფა-ცხოვრება, დამყარებული სათნოებაზე, გაცხოველებული და დამკვიდრებული მონდომით და წესრიგით—არა ძალიან ვიწროთ, არა ძალიან ფართოდ, უნარის და ძალღონის შესაფერისად... აქ ვხედავ ჩემ წინაშე სურვილების შეზღუდვას და მოვალეობების მუშაობას, წინდახედულობას და თავდაჭერილობას, უმანკოებას და საქმიანობას".

განა ეს არა გავს ცხოვრების დაკანონების უარყოფას? დიახ, ეს ამას მოწმობს და ეს არის გამარჯვების საზომი. ეს ჯავია იმ გზის, რომელზედაც გოეთე გადადიოდა „პრომეთესაგან" „პანდორაზე", „გეც-ფონ-ბერლიხინგენიდან" „ეგმონტზე", „ვერტერიდან" შერჩევითი ნათესაობაზე, „პრაფაუსტიდან" „ფაუსტის" უკანასკნელი ვარიანტის მეორე ნაწილზე.

მაგრამ როგორ შეეფარდება ეს მოძღვრება არც ისე ვიწრო და არც ისე ფართო სათნოების, წინდახედულობის და თავდაჭერილობის, ეს მოძღვრება ფილისტერულ სივიწროვის და მეშჩანური კმაყოფილების, ეს პოლიტიკა ძველთან შეგუებისა და ბრძოლა სამუდამო დინებისათვის,—უმეტესად წარმოდგენას აჯანყებულ ლექტორზე და მუდამ მშფოთავ ფაუსტის სულზე?[2] მაგრამ, განა მართლა ამრიგათ ეწინააღმდეგება ერთმანეთს „პრომეტეს" ჯანყი ღმერთების წინააღმდეგ და ვერტერის სინამდვილისადმი პროტესტის კოსმიური ხასიათი, ერთის მხრივ და მოძღვრება განდეგილობისა „ვილჰელმ მეისტერში", თავდაჭერილობისა და თვით შეზღუდვისა „ტორკვატო ტასსოში"

ვისაც სწყურია დიადი, უნდა იცოდეს
თავის დაჭერა.
ოსტატი ამჟღავნებს თავის თავს მხოლოდ შეზღუდვაში.
მხოლოდ კანონს შეუძლია მოგვცეს თავისუფლება.

— მეორე მხრივ საქმენი და პრაქტიკული მუშაობა ფაუსტში?

ნაწარმოებმა „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი" მთელ მსოფლიო ლიტერატურის



გოეთე

ისტორიაში თითქმის ყველაზე მეტი გამოხმაურება მოიპოვა. ნაპოლეონმა „ვერტერი" თან წაიღო ეგვიპტეში ლაშქრობის დროს, გადაიკითხა ის შვიდჯერ და გოეთესთან მუსაიფში გამოდიოდა კონკრეტულ კრიტიკოსის როლში... უცებ გაჩნდა მთელი ბიბლიოთეკა მიმბაძველ რომანებისა, რომელთაც შემდეგში დასცინოდა გოეთე, უკვე რენეგატული სულისკვეთებით გამსჭვალული თავის მოღვაწეობის ყველაზე რევოლიუციონურ ხანის მიმართ.

[illegible] ადამიანისთვის" — წარმოსთქვამს ვერტერი. მაგრამ ვერტერის გამარჯვება იყო ასეთი დიდი სწორედ იმიტომ, რომ ის იყო გასაგები აჯანყებულ ბიურგერისათვის, რომ ეს იყო ბრძოლა ახლად წარმოშობილ ბურჟუაზიულ საზოგადოების, „ცოცხალ ადამიანისათვის", რომ ბუნებით აღტაცების, გულის კულტის და გრძნობიერების სახით მკითხველისთვის აშკარა იყო პროტესტი სოციალურ სინამდვილის წინააღმდეგ, რომ „ვერტერ"-ში გაიდეალიზირებულია გმირის „შინაგანი მე", ლიტერატურისათვის ახალი და მისი ძველი ნიმუშების მოწინააღმდეგე. უფლება უკიდურეს ინდივიდუალიზმზე—ასე იყო გაგებული „ვერტერის" ძირითადი ხაზი Strum und Drang ის ეპოქის სულისკვეთებასთან სრულ შეფარდებით, იმ ეპოქის, რომელიც ეძებდა დამოუკიდებელ ყოფაქცევას და ძლიერი ნებისყოფის დიდ ადამიანს.

გერმანულ ბურჟუაზიის სისუსტე შედარებით ფრანგებთან, მისი ჩამორჩენილობა, სივიწროვე, მისი მხდალობისა — ესაა საბაბი იმისა, რომ „ვერტერში" სოციალურ კრიტიკის პროტესტის ხმა დახშობილია, რომ „ვერტერში" არ არის ვოლტერისებური მზამი და სიმახვილე, რომ „ვერტერში" დაკვრის ძალა არ არის მიმართული იმ წესწყობილებისაკენ, რომელიც ხელს უშლის ბურჟუაზიულ ინდივიდუალისტის ჩამოყალიბებას, არამედ მიმართულია მსოფლიოზე ზოგადათ, კაცობრიობაზე მთლიანად, ქვეყნის შენების მსვლელობაზე, როგორც ასეთზე. ლესინგი ტყუილად კი არ აცხადებდა პროტესტს ვერტერის ფინალის წინააღმდეგ, მის თვითმკვლელობის წინააღმდეგ — მისი კრიტიკის ტონი აშკარა იყო: როგორ ივარგებ შენ სერიოზულ ბრძოლაში, თუ თავს იკლავ ბედშავ სიყვარულისათვის? რასაკვირველია, საქმე არც ისე მარტივია, რომ, თითქოს, თუ ლოტტა შეიყვარებდა ვერტერს ან თუ უკანასკნელი ჰპოვებდა სიმშვიდეს სხვასთან—არ ქქნებოდა ადგილი მსოფლიო სევდას; მაგრამ სწორედ დამახასიათებელია ასეთი შინაარსი „ვერტერისათვის" და აქ არის მოქმედების ცენტრი.

რაც უფრო განყენებული იყო ჯანყი, რაც უფრო აბსტრაქტული იყო მისწრაფებანი, რაც უფრო გამოურკვეველი იყო — თუნდაც მეტად დიადი—აჯანყება, რაც უფრო მეტად ჰქონდა პლანეტარული ხასიათი გარემოს უარყოფას, მით უფრო ბუნებრივად მზადდებოდა კომპრომისი იქ, სადაც საქმე გადადის პრაქტიკაზე, მით უფრო მალე მოსალოდნელი იყო ლამაზ ფრთების დაყრა ცხოვრების პირ-ვარამთან პირველ შეტაკებისთანავე, მით უფრო კანონზომიერებით მზადდებოდა კლასის დიდ ამოცანების, დიდ მიზნების, დიდ საქმის მიმართ გულის გატეხა, რასაც ხელს უწყობდა დიდ და დამარცხებულ ინდივიდუალიზმის ქადაგება.

უკვე „ვერტერში" ჩვენ ვკითხულობთ გმირის მოსაზრებებს. „ცხოვრებაში საკითხები იშვიათად წყდება"—„ან ჰოს და ან არას" საშუალებით. გრძნობების და მოქმედების საშუალებებს აქვთ იმდენივე სხვადასხვა ელფერი, რამდენიც არსებობს შუა საფეხურები მიმინოსებური და კოპიანი ცხვირებს შორის. ამიტომ მე შენ ნუ გამიწყრები, თუ დავეთანხმები ყველა თქვენს არგუმენტაციას და მაინც ვეცდები გავძვრე „ან ჰო და ან არას" შორის. და განა ცხადი არ არის, რომ ვერტერი ცოცხალი დარჩენილიყო—ის გოეთეს შემდგომი მოსაზრებების თანახმად დემოკრატიიდან გადაიქცეოდა არისტოკრატად, ე. ი. აჯანყებულ ზეინდივიდუალისტიდან ფილისტერად, რომელიც შერიგებულია წუთისოფელთან, სადაც უზრუნველყოფილია კარგიანი პურის ნატეხით და პატარა სახლით განაპირა უბანში—ისტორიულ გზის მაშინ-რებით?![3] განა ცხადი არ არის, რომ ვერტერის ხასიათში არის ჩართული განვითარება მოსეს ან მაჰომედის სახეებისა, რომელნიც აღელვებდნენ ახალგაზრდა გოეთეს, ვილჰელმ მეისტერის სახემდე", რომელიც ჰპოებდა ბედნიერებას ქორწინებაში, [illegible] სპეციალურ ყველასათვის სასარგებლო მოღვაწეობის სიმბოლიურ დარგში? განა გოეთეს გმირების წინააღმდეგობანი, მის ერთიმეორესთან მოწინააღმდეგე სახეებში არ ვარკვევთ ჩვენ მთლიან სოციალურ ტიპს, რომელიც იზრდება, ყალიბდება და განსაზღვრულ სიძნელეებს ებჯინება?

გოეთეს დღეების გამო ეხლახან გამოქვეყნებულ მოწოდებაში, რომელიც ხელმოწერილია [illegible] ნეთის, გრიმის,[4] გ. გაუპტმანის, ტომას მანის და სხვების მიერ (ბურჟუაზიულ გერმანიის უმაღლეს სარდლობის მიერ), ჩვენ ვკითხულობთ: „გოეთე ატარებდა თავის თავში ადამიანის ბუნების ყველა წინააღმდეგობებს და თავის შინაგან არსის ვნებიან გაორებიდან მივიდა განმანთავისუფლებელ ჰარმონიამდე. გოეთეს სახელი გერმანიის ხალხისათვის ნიშნავს მოწოდებას, რომელიც გვაუწყებს შინაგან სიმშვიდეს".

არა, გოეთე სწორედ იმიტომაა დიადი, რომ მან მართლაც შესძლო ადამიანის ბუნების თითქოს უცვლელის და მუდმივის არა ყველა წინააღმდეგობების გაშლა, არამედ მან გაშალა მრავალი წინააღმდეგობანი ახლად წარმოშობილ ბურჟუაზიულ ინდივიდუალისტისა გერმანიის ნამდვილ კაპიტალისტურ განვითარების ეპოქაში; მან გაშალა მრავალი წინააღმდეგობანი განსაზღვრულ სოციალურ ტიპისა, მრავალი წინააღმდეგობანი, რომლებიც იმ დროს მხოლოდ ჩანასახს წარმოადგენდენ, მრავალი ყალბი და ჭეშმარიტი, გარკვეული და გამოურკვეველი წინააღმდეგობანი, რომელთა ცოდნა საჭიროა ჩვენთვის ამ ხანაში, როდესაც ჩვენ შევუდექით კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრას ადამიანის „გონებიდან".

„განმანთავისუფლებელი ჰარმონია" — ეს არის განმარტება დღევანდელ წარმომადგენლების მიერ იმ გერმანულ დაკნინებისა, რომელსაც გაიმარჯვა გოეთეზე. რასაკვირველია, მისი „ოლიმპიელობა", მისი „კლასიციზმი", მისი ნიღაბი ცივ სიმშვიდისა სრულებით არ წარმოადგენენ გოეთეს უპირატესობას სინამდვილესთან შედარებით, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, არ წარმოადგენენ ამ სინამდვილის დაძლევას, მის წინააღმდეგობათა აზროვნების სიმაღლეებიდან მოხსნას. ეს იყო გარკვეული მიღების და ცნობის ყველაზე უფრო თვითდაცვითი ფორმა.

გოეთე მართლაც ილტვოდა პრაქტიკულ მოღვაწეობისაკენ, მას ახასიათებდა ცხოვრების შეცნობის დიადი სიხარული (იხ., მაგალითად, „რომაული ელეგიები"), ის მიილტვოდა ადამიანის მთლიან ბუნებისაკენ, ის ებღაუჭებოდა ყოველივეს იმისათვის, რომ გაეძლიერებია თავისი შინაგანი მისთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი.

„პირველად იყო საქმე"—ასწორებს ფაუსტი ქრისტიანულ „პირველად იყო სიტყვას". პრაქტიკაში, ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობაში, დიდ საქმეში ფაუსტი ჰპოებს გამოსავალს თავის მაძიებელ ბუნებისათვის.

ფაუსტი დიდი ხანია გადაიქცა სახელობითი ცნებად: ფაუსტური ადამიანი, ფაუსტური ტექნიკა, ფაუსტური სული, ფაუსტური კულტურა!

„ფაუსტი — მთელი კულტურის პორტრეტია"—სწერს შპენგლერი. გერმანულ ფაშიზმის მთავარი თეორეტიკოსი როზენბერგიც კი აცხადებს: „ფაუსტში გოეთემ გამოსახა ჩვენი ბუნება, ის მარადი, რაიც [illegible] ჩვენ სულში, მის ყოვლად განუსაზღვრელობაში". ამას დაეთანხმება გაუპტმანიც, გუნდოლფიც, რიკერტიც, ზიმელიც, ლიუდვიგიც, ევროპული ლიბერალური [illegible]—ისინი იკამათებენ ამ ცნების შინაარსის შესახებ, მაგრამ ფაუსტური ადამიანი ყველა ამათთვის არის სიმბოლო „ახალი დროის" ადამიანის შინაგანი არსისა.

„ფაუსტური [illegible]" — ეს ბურჟუაზიული ინდივიდუალისტია, ეს არის ვერტერი, აღებული „მარად" პრობლემებს და საზოგადო მოღვაწეობის ასპექტში. ფაუსტური პრობლემა—მისი ცხოვრების ფილოსოფიური პრობლემაა. გოეთე აქ გამოდის არა როგორც უბრალო ცხოვრების ბრწყინვალე ამწერი, რეალისტურ ხელოვნების ოსტატი, არა როგორც რიტორიული მებრძოლი შილლერისებურ. ყოფა-ცხოვრების

---

[1] იხ. გოეთეს „საფრანგეთის კამპანია" ვალმისთან ბრძოლის შემდეგ მან სთქვა: „აქედან და დღეიდან იწყება მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა და თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, რომ ხართ მოწმენი მისი დასაწყისისა".

[2] საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ „გეცფონ ბერლიხინგენის" დაბეჭდილ ტექსტში გოეთემ გამოაკლო პირვანდელ ვარიანტის მითითება გლეხების დახაგვრაზე და ექსპლოატაციაზე.

[3] „ჩვენ, ადამიანებს, შემეცნებაში, ისე როგორც ყოველივე პრაქტიკულ საქმეში მაკუთვნებული გვაქვს ერთგვარი საშუალო დონე: შუა ადგილი, დაწყებული იმ პუნქტიდან, სადაც ჩვენ ვდგევართ, მართალია, გვაძლევს ჩვენ გარეშე და წინ [illegible] რაობის საშუალებას მხედველობით და საქმით, მაგრამ დასაწყისს და დასასრულს ჩვენ ვერასოდეს ვერ ვაღწევთ, ვერც აზროვნებით, ვერც მოქმედებით, და ამიტომ ცუდი არ იქნება თავის დროზე უარყოფისა".

[4] სოციალ-ფაშისტი, პრუსიის განათლების მინისტრი.

გაგრძელება მეორე გვერდზე

„პირველად იყო საქმე"...— ლ. ამირიბახი

საშუალებებით, გამოდის არა გარითმულ დეკლარაციის იარაღით, გოეთე „ფაუსტში" გამოდის როგორც უდიდესი პოეტი — მოაზროვნე, მხატვარი — ფილოსოფოსი, განზოგადოების და ღრმა გამჭრიახობის ოსტატი. პიროვნება, თავისუფალი პიროვნება პიროვნების ბედ-იღბალი, მისი დანიშნულება, მისი შესაძლებლობანი, მისი ადგილი სამყაროში—აი ფაუსტის თემა. ასე ხატავს გოეთე ბურჟუაზიულ პიროვნებას და გაბედულად, მწვავედ, ვაჟკაცურად ქმნის ისტორიულ სიმბოლიკას, რომელმაც შერჩა მოქმედებითი ძალა მრავალი წლების მანძილზე და შემეცნებითი ღირებულება საუკუნოებისათვის.[5] ამხ. ლუნაჩარსკი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ფაუსტის დაუკმაყოფილებლობა არის მხოლოდ თანდათან გაძლიერებული წყურვილი სავსე ცხოვრებისა".

მე გავიქროლე სამყაროში ისარისამებრ,
და გაფრენილი ვიტაცებდი ყოველ სიამეს.
რითაც ვიყავი კმაყოფილი, მე იმას ვთმობდი,
რაც მეცლებოდა ხელებიდან, მას არ ვიჭერდი.
მე მხოლოდ მსურდა. სურვილებსა ავისრულებდი,
და ისევ მსურდა. ამნაირად მე გავირბინე
მთელი სიცოცხლე—გრიგალივით და უდგრომელად,
და ახლა ვცხოვრობ გონივრულად, აუჩქარებლად.
საკმაოდ ვსცანი ეს სიცოცხლე მრავალფერადი,
დაკეტილია ყველა გზები სხვა სამყაროსკენ.
იგი ბრმა არის, ვინც ენდობა ამაყ ოცნებას,
ვინც ჩვენს თანატოლთ ღრუბლებს იქით მუდამ დაეძებს.
აქ ფეხი მაგრად, ყოველივეს თვალი მიაპყარ.
არ არის უტყვი ეს ქვეყანა ბრძნულ გონებისთვის.
განა აზრი აქვს—ეოცნებო მარადისობას!
ის, რაც ჩვენ ვიცით, არის ჩვენთვის ხელშესახები.
და ბრძენი ასე გაატარებს თავის სიცოცხლეს.
თქვენი მუქარა ამაოა, ბოროტნო სულნო,—
იგი წინ გასწევს, წამებით და გზნებათ აღსავსე,
და არ იქნება კმაყოფილი არც ერთი წუთი.

ფაუსტი უარს ამბობს პასუხი გასცეს იმ კითხვებზე და იჭვებზე, რომელნიც მას წინად აწვალებდნენ. ის ოცნებობს გახდეს უბრალო ადამიანი—„პრაფაუსტის" ღვთის მებრძოლობისაგან ნიშანიც არ რჩება. რაში ნახა სიმშვიდე ფაუსტმა?

„ფუშებს ჰაერს ეს ჭაობა თვითონ მთებამდე.
[illegible] შრომა განიავოს.
უკანასკნელი ჩემი ღვაწლი აი ეს არის:
გადავიყვანო შორს აქედან დამპალი წყალი.
მე მთელს ქვეყანას შევქმნი, ახალს, დაუსრულებელს,
და, იცხოვრონ აქ ურიცხვმა მილიონებმა
მუდამ ებრძოლონ თავგანწირვით სასტიკ ბუნებას,
ჰქონდეთ იმედი თავისუფალ შრომისა მხოლოდ.
მიწიერ სიბრძნის საბოლოო დასკვნა ეს არის:
ისაა ღირსი სიცოცხლის და თავისუფლების,
ვინც რომ იმათთვის ყოველდღიურ ბრძოლას ეწევა.

ფაუსტმა პირველ ნაწილში განიცადა ისეთი განვითარება, რომ შეიძლება მისი გათანასწორება სხვა ხასიათის ქმნილებასთან, მეორე ფაუსტთან, რომელიც ნახულობს პასუხებს იქ, სადაც წინანდელ ფაუსტისათვის იყო პრობლემები.

აი როგორ ამბობდა წინად თვით გოეთე: „ფაუსტის ხასიათი იმ სიმაღლეზე, სადაც დააყენა იგი ძველი ხალხური გადმოცემის ნედლი მასალის დამუშავებამ, წარმოგვიდგენს ჩვენ ადამიანს, რომელიც გრძნობს რა მიწიერ არსებობის საზღვრებში შებოჭვას, არ კმაყოფილდება უმაღლეს წოდებით და ცხოვრების უმშვენიერეს სიამეთა დატკბობით, რადგან მათ არ შეუძლიათ თუნდაც ნაწილობრივ შეანელონ მისი წყურვილი: სული, რომელიც ამის გამო გაართავდა სხვადასხვა გზას, უბრუნდება თავის თავს კიდევ უფრო უბედური. ასეთი სულისკვეთება ენათესავება თანამედროვე ადამიანის სულის არსებას".

აი რას ეუბნებოდა გოეთე ეკკერმანს „ფაუსტზე" მუშაობის დასასრულის ხანაში: „ადამიანს არ შეუძლია მსოფლიოს ამოცანის გადაჭრა, მას შეუძლია მხოლოდ აღმოჩენა ამ ამოცანის დასაწყისისა და შემდეგ ყოფნა მისთვის მისაწვდომ და გასაგებ საზღვრებში. მის უნარს არ შეუძლია სამყაროს მოქმედებათა გაზომვა; სამყაროს გაგების სურვილი მისი შეზღუდული თვალსაზრისით—ეს ამაო ცდაა. ადამიანის გონება და ღვთის გონება—ორი სხვადასხვა საგანია".

ფაუსტის საქმე იგივეა, რაც ვილჰელმ მეისტერის უარის თქმა.

ეს არაა გაბედული გამარჯვება იმ ამაყი სულისა, როგორიც იყო დასაწყისში ფაუსტი—ფაუსტის რელიგიური დასასრული როდია შემთხვევითი. საქმე წარმოადგენს ძველი ჯანყისაგან განდგომას და არა პასუხს ამაღელვებელ კითხვებზე, არა წინააღმდეგობათა მოსპობას, ან უფრო ზუსტად: საქმეში ისე, როგორც უარყოფაში ფაუსტი პოებს პასუხს და გამოსავალს. მეფისტოფელმა ვერ მიიღო ფაუსტის სული, მაშასადამე, ფაუსტის ხაზი გამართლებულია და განმტკიცებული არა იმიტომ, რომ ფაუსტი შეგვიერთდა „ჩვენ" და კოლექტიურ შრომაში პოვა სავსე ცხოვრება, არამედ იმიტომ, რომ ფაუსტმა იარაღი დაყარა და თავი დაანება წინანდელ ძიებას, რაკი გამონახა გზა ღმერთისაკენ. დიახ, გოეთე იყო მიჯაჭვული მის გარემოზე, როგორც [illegible], სადაც მას შეეძლო მოქმედება".

„ფაუსტი თავდება ტრაგიულად, მაგრამ ეს არ არის ტრაგედია ადამიანის არსებობისა დასაბამიდან და სამუდამოდ—ეს არის ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის ისტორიული სივიწროვე...

ფაუსტი არ თავდება „განმათავისუფლებელ სიჩუმით", ის მთავრდება პრაქტიკით არა როგორც გამარჯვებით, არამედ როგორც დამარცხებით, არა როგორც ბედნიერებით, არამედ როგორც თავშესაფარით „მარადი" უკმაყოფილება ჩადგება განსაზღვრულ კალაპოტში და ვიწრო ნაპირებში. ფაუსტის რევოლიუციონური სული ჩაყენებულია საზღვრებში — აქედან აქამდე! ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმის აპოლოგეტიკას, ქება-დიდებას მძლავრ, თავისუფალ, თავის თავზე დამყარებულ პიროვნებისა მიჰყავს ვერტერი თვითმკვლელობამდე, ან ფაუსტის შეკვეცილ ფრთებამდე—მეორე ნაწილის დასასრულში.

გააგრძელეთ კიდევ ფაუსტი — აცხოვრეთ ის ეხლა—და ფაუსტის სახე **შეუერთდება** მეფისტოფელის სახეს და სკეპტიციზმი, დაცინვა, ცინიზმი—უფრო იაფი, ვიდრე ეს აქვს გოეთეს მეფისტოფელს!—გახდება ფაუსტის შინაგან არსის განუყრელ ნაწილად; და ფაუსტი გადაგვარდება კლიმ სამგინად.

---

[5] „ფაუსტის სიმბოლო გამოხატავდა არა მარტო ტიტანიზმს, ის გამოხატავდა აგრეთვე დაუკმაყოფილებლობის ტრანსცედენტალურ გრძნობას, რომელიც გამომდინარეობს კონფლიქტისაგან ჩვენი მიწიერი ცხოვრების განსაზღვრულობისა (სივრცის და დროს მხრივ) და სამყაროს დაუსრულებელ ცხოვრების შინაარსის შორის".. სწერს გინდოლფი. რიკერტისათვის „ფაუსტში" უმთავრესია: „კავშირი გოეთეს საიქიოს რწმენისა და მომქმედ ადამიანის ცნებას შორის... ფაუსტი უკვდავია იმიტომ, რომ ის ყოველთვის ილტვის მოქმედებისაკენ".—„მისწრაფებათა ვნებიანი გაძლიერება, ძლიერი უკმაყოფილება, თავის თავზე გმირულად იმედის დამყარება, განუსაზღვრელი ნდობა ბუნებისადმი, ლტოლვა უსაზღვრო სივრცისაკენ"—ასე განმარტავს კ. ობენაუერი ფაუსტურ ადამიანის არსებას.—„ფაუსტური კულტურა არის ნებისყოფის კულტურა"—სწერს შპენგლერი.

გოეთეს ლექსები

ფაუსტის მონოლოგი

შემისწავლია ფილოსოფია,
სამართლის ცოდნა და მედიცინა
და სამწუხაროდ თეოლოგიაც
თუმც ეგზომ ჯაფამ მე რა შემძინა!
და დავრჩი შლეგი კვლავინდებური
უფრო უვიცი, ვიდრემდის წინად.
მარქვეს მაგისტრი, მთვლიან დოქტორად
არ დამიკლია არსად საცდელი.
აჰა, სრულდება ათიოდ წელი
— არ გამიღო ნაყოფი ბალმა,
ჩემს მოწაფეებს საკუთარ ხელით
რაც დავატარებ აღმა და დაღმა.
და საწყაული თმენის ივსება
როდესაც ვხედავ, რომ ძე კაცისა
ყოფილა თურმე ეგზომ საპყარი,
არაფრის ძალუძს მას შეთვისება
და არც ცოდნა გვაქვს მტკიცე და მყარი.
თუმცა მე მეტი გამიგონია
ვიდრე იმ შლეგებს და იმ ტუტუცებს
თუნდაც დოქტორებს და მწიგნობარებს,
იმ მაგისტრებს და იმ ბედშავ ხუცებს.
არა ვარ ფრთხალი, არც იჭვნეული,
არც მეკრძალება ამგვარი თქმისა,
ველარ შემაკრთობს ეშმაკეული
ველარც ზღაპარი ჯოჯოხეთისა.
სწორედ მიტომაც შემომეძარცვა
სიხარულისა მე ნატამალი,
არცა მგონია შესაცნობლად
იდუმალისა რომ მეყოს ძალი.
აღარ მიგრძვნია ცოდნის სიჭარბე
კმაყოფილების მცირე სიამე,
ვერ დავიქადნი რომ მე შემეძლოს
ადამიანებს ვასწავლო რამე.
არა მაქვს ფული, არცა მამული,
აღარც პატივი კარი და სახლი.
არც ინატრებდა ჩემებრ ხანგრძლივად—
ქვეყნად ცხოვრებას არც ერთი ძაღლი.
მიტომც მაგიას გავენდვე მენაც,—
რათა სულობის პირი და თვალი,
შემომეშველოს და განმიცხადოს
შეუცნობელი და იდუმალი.

თარგმანი გრ. კ. გამსახურდიასი.

ტყის მეფე

ვინ მიჰქრის ღამეში ისე გვიან ქარბუქი?
მხედარი გვიანი, მასთან ყრმა-ჭაბუკი.
მამის მკერდს ეკვრება ბავში უნდობელი,
მას გულში იხუტებს მოხუცი-მშობელი.

„შვილო, რად ცახცახებ, შვილო, რად მღელვარებ".
—მამილო, ტყის მეფე ცეცხლივით ელვარებს!

თავზე აქვს გვირგვინი, ხშირი აქვს წვერები.
„არა! ეს წყალზეა ნისლის სხვა ფერები.

„ბავშო, მოიხედე! თვალი მომაპყარი.
„მინდა მოგანიჭო შენ ჩემი სამყარო:
„ფირუზის ყვავილნი", ვერცხლის ნაკადები,
„ჩემი პალატები ოქროდან ნაგები.

ტყის მეფე აღმითქვამს, მამავ, ძლიერებას,
მარგალიტს, ოქროებს და ბედნიერებას.
—ო, არა ძვირფასო! ეს ხმა უცნაური
არის ქარისაგან ფოთლების ხმაური!

წავიდეთ ჭაბუკო, სადაც კი გენებოს,
„ტყეში ჩემს ქალებთა იხილავ მშვენებას.
„ცეკვას დაიწყებენ ისინი მთვარეში,
„შენ დაგაძინებენ ფრენით და თარეშით".

—მამა, ტყის ასულნი კისკისით დგებიან,
ბნელი ტოტებიდან კვლავ მეძახებიან.
„არა, ყოველივე ხუფავს მყუდროებით,
ეს თრთიან ტირიფნი იქ განმარტოებით.

—ბავშო, შენსა ეშხით მე ვარ აღჭურვილი,
და ჩემი იქნები ძალით თუ სურვილით!
„მამა, ჩვენ ტყის მეფე გვდევნის ხმალშიშველი.
„გამოჩნდა კიდევაც! ვიხრჩობი! მიშველე!

დამფრთხალი მხედარი ჰქრის როგორც შურდული.
ყმაწვილი გაჰკივის ცქერა-აბურდული
აი სამშვიდობოს გავიდა მხედარი.
ხელთ ეპყრა უსულო ჭაბუკის ცხედარი..

თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის.

ვარდი ტრამალისა

ბიჭი მიდის ტრამალზე,
ვარდია ტრამალისა
ცისკარზე დაცვარული,
ჟუჟუნა, თვალმაისა
ბიჭი მიეშურება,
უნდა ვარდი ლალისა,
ვარდო, დავარდებულო,
შენ ვარდო ტრამალისა.
ეუბნება: მოგწყვეტავ,
შე ვარდო ტრამალისა;
უპასუხებს: გიჩხვლიტავ,
მე ვიცი წამალისა.
მწარემწარედ გატირებ
ვარდი [illegible]

ვარდო, დავარდებულო,
შე ვარდო ტრამალისა.
ბიჭო, შე უდიერო
შენი ნატამალიცა!
აიღო და მოსწყვიტა
ვაი და ვუი რას უშველის
ცრემლი თვალს დაალესა;
რამდენიც არ უჩხვლიტა,
უკბინა სამალიცა.
ახ, უნდა მოითმინოს,
გზა არ აქვს დამალვისა.
ვარდო, დავარდებულო,
შე ვარდო ტრამალისა!

თარგმანი გიორგი ლეონიძის.

ფაშისტები და გოეთე

გერმანიის ყველა ანტიკომუნისტური პარტია ცდილობდა გოეთეს შემოქმედების თავის იდეებთან დანათესავებას და პარტიის სასარგებლოდ გოეთეს სახელის გამოყენებას.

განსაკუთრებით ფაშისტები ცდილობდენ გოეთეს დღესასწაული გადაექციათ თავიანთ დღესასწაულად. ფაშისტები იქამდეც კი მივიდენ, რომ მოითხოვეს დღესასწაულში არა მარტო კომუნისტების, არამედ ისეთი დიდი მწერლების მონაწილეობის აკრძალვაც კი, როგორიც არიან ჰერგარდ ჰაუპტმანი, ტომას მანი და სხვ.

მაგ. ტიურინგიის გიტლერელების ბელადმა ზაუკელმა მიწერა ვაიმარის ნაციონალ-სოციალისტურ ჯგუფს პროტესტი განაცხადოს ვაიმარში გოეთეს გარდაცვალებიდან 100 წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულში ჰერგარდ ჰაუპტმანის, ტომას მანის, ვალტერ ფონ-მოლოს და [illegible] გერმ. ლიტერატორების მონაწილეობის წინააღმდეგ.

ზაუკელის აზრით აღნიშნული პირნი არ შეიძლება დაშვებულნი იქნენ გოეთეს დღესასწაულზე იმიტომ, რომ ისინი არ არიან არიელთა შთამომავალნი.

ასე „იცავენ" ფაშისტები რასიულ „სიწმინდეს".

საზეიმო სხდომა

29 მარტს, ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში შესდგა საბჭოთა მწერლების საზეიმო სხდომა გოეთეს ხსოვნის აღსანიშნავად.

სხდომას დაესწრენ: განათლების სახ. კომისარი ამხ. **მარიამ ორახელაშვილი**, გერმანიის საელჩო მთელი შემადგენლობით, უცხოეთთან კულტურულ კავშირის ამიერ-კავკ. საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. უსტინოვი, პრესის, მეცნიერების და სხვადასხვა კულტურულ - საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოკლე შესავალი სიტყვით სხდომა გახსნა საბჭოთა მწ. ფედერაციის პ.-მგ. მდივანმა ამხ. **პ. ჩხიკვაძემ**, პროფ. **შ. ნუცუბიძემ** გერმანულ ენაზე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, ქართულად ვრცელი მოხსენება გააკეთა გოეთეს ცხოვრებასა და შემოქმედების შესახებ.

გოეთედან თარგმნები წაიკითხეს: ი. გრიშაშვილმა, ვ. ჟურულმა, გრ. ცეცხლაძემ და რუსთაველის სახ. დრამის თეატრის მსახიობმა აკ. ვასაძემ

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს დ. ბადრიძემ, ლისოვსკაიამ და ოპერის სხვა არტისტებმა.

ვილლი ბრედელი ტფილისში

27 მარტს თბილისში ჩამოვიდა გერმანიის პროლეტარული მწერალი **ვილლი ბრედელ**.

ვილლი ბრედელ ახალგაზრდა მუშაა. ის გერმანიაში პროლეტარულ-რევოლიუციონურ მოძრაობის აქტიური მონაწილეა, რისთვისაც დაპატიმრებული იქნა ამ 3 წლის წინათ; ბრედელმა ციხეში გაატარა 2 წელი, სადაც მან დასწერა თავისი პირველი წიგნი სათაურით: „მანქანათმშენებელი ქარხანა ნ. და კ." ამ წიგნში მოცემულია ხსენებულ ქარხნის (სადაც თვითონ მუშაობდა) მუშების და მუშა - ქალების ყოველდღიური ბრძოლა და ცხოვრება. წიგნი დაწერილია უბრალო ენით და ყოველი დეტალი დამუშავებული და ასახულია მზრუნველობით; ბრედელის წიგნი გერმანიის პროლეტარულ ლიტერატურაში პირველი საწარმოო რომანია.

ამ რომანმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა გერმანიის მუშებში და ის ყველა მათგანისათვის საყვარელი საკითხავი წიგნია.

ბრედელის ლიტერატურული შემოქმედება, რომელიც დაიწყო ციხეში, შემდეგ ნაწარმოებებშიაც უშუალოდ გამოხატავს გერმანიის პროლეტარიატის მისწრაფებებს და რევოლიუციონურ მოძრაობას.

ბრედელის მეორე რომანი „როზენგოფშტრასსე" შეიცავს გერმანიის პროლეტარულ ქუჩაზე ერთ-ერთ ეზოში მცხოვრებთა მართალ ისტორიას.

აგრეთვე თავის შინაარსით და კლასიური მსოფლმხედველობით აღსანიშნავია ბრედელის მესამე რომანი: „საკუთრების დაცვის პარაგრაფი".

29 მარტს დილით ამხ. ვილლი ბრედელი ეწვია ჩვენს რედაქციას. ხანგრძლივ საუბარში მან განაცხადა: „რაც ვნახე მოსკოვსა, ლენინგრადსა და ბაქოში, რისი ნახვაც მოვასწარი თბილისში — მე მაოცებს და მახარებს, თანაც მიორკეცებს იმედს იმისას, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ბრძოლისა და შრომის მაგალითზე მსოფლიო პროლეტარიატი უსათუოთ შეძლებს ბურჟუაზიისაგან დამოუკიდებლად, მისი განადგურების შემდეგ, ახალ სოციალისტურ მსოფლიოს შექმნას. თუ დრო მეყო, შევეცდები განსაკუთრებით ახლო გავიცნო საქართველოში წარმოებული სოციალისტური მშენებლობა, რომ ფაქტებით გავაბათილო ემიგრაციის ჭორები საქართველოზე"-ო.

ამხ. ბრედელი ჩვენს „სალიტერატურო გაზეთი"-ს რედაქციას დაჰპირდა წერილების სისტემატიურად მოწოდებას გერმანიის პროლეტარულ ლიტერატურული მოძრაობის შესახებ.

იმავე საღამოს ამხ. ბრედელი დაესწრო გოეთეს გარდაცვალებიდან 100 წლის თავის აღსანიშნავად მწერალთა კლუბში გამართულ საბჭოთა მწერლების საზეიმო სხდომას.

ბრედელი გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრია.

რევოლიუციონურ მწერალთა საერთაშორისო მოძრაობა იზრდება

ბულგარეთი.

„სახელმწიფოს დაცვის" კანონის ძირითადი ამოცანაა მუშური პრესის განადგურება. ამის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს ჟურნალ „მუშური ლიტერატურული ფრონტის" ოთხი მომდევნო ნომრის ზედიზედ კონფისკაცია.

ბულგარული პროლეტარული ლიტერატურის ამ ორგანოში პირველად იქნა პრაქტიკულად გატარებული ლოზუნგი მასების კონტროლისა მწერლების ლიტერატურულ პროდუქციაზე.

ჟურნალი „მუშური ლიტერატურული ფრონტი",—რომელსაც ჯერ ისევ მოკლე ხნის წინეთ ახასიათებდა ესთეტიზმისკენ გადახრა, შეუდგა თავის თანამშრომელთა რიგების გამუშურებას, მუშკორებისა და გლეხკორთა წრეებიდან მწერალთა ახალ კადრების აღზრდას და თავის მუშაობაში მიზიდვას. მუშკორთა და გლეხკორთა ლიტერატურაში გაწვევამ, რომელიც ჟურნალმა ჩაატარა, უდიდესი როლი ითამაშა ბულგარულ პროლეტარულ ლიტერატურის განვითარებაში, მისი ბოლშევიზაციის საქმეში.

ამ ჟურნალის შეცდომად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ენერგიულ ბრძოლას არ აწარმოებდა იმპერიალისტური ომის საშიშროების წინააღმდეგ და აგრეთვე ის, რომ მან ვერ შეაფასა თანამგზავრ მწერალთა პროლეტარულ მწერლობასთან დაახლოების მნიშვნელობა. ვერ დაეხმარა მათ მერყევი პოზიციიდან პროლეტარულ [illegible] მტკიცე პოზიციებზე [illegible].

ჟურნალი თავის არსებობის პირველ [illegible] ებიდანვე გადავარდა „მემარცხენე [illegible] ტანტობაში, რამაც დიდად დააბ[illegible] სი გავლენის ზრდა მშრომელთა [illegible] მასებში. „მუშური ლიტერატურული ფრონტი" ამჟამად ენერგიულად ასწ[illegible] ვს შეცდომას.

ბულგარეთის ფაშისტური ხელისუფლება „ღირსეულად" აფასებს ამ ჟურნალის მნიშვნელობას და სასტიკად სდევნის. ჟურნალის რამდენიმე რედაქტორი დაპატიმრებულია.

ესპანეთი.

რამდენიმე თვის წინეთ ესპანეთში ჩამოყალიბდა რევოლიუციონურ პრო[illegible] მწერალთა კავშირი, რომელმაც [illegible] პლატფორმად მიიღო ხარკოვის კონფე[illegible] ნციის დადგენილებანი. კავშირი [illegible] ლიდა როგორც რევმწერალთა [illegible] შორისო გაერთიანების [illegible] სექცია, თუმცა რევმწერალთა [illegible] ბამ ეს სექცია მთელ რიგ მიზე[illegible] ჯერ კიდევ არ დაამტკიცა. კავ[illegible] განიზაციისთანავე მასში შევიდ[illegible] თის და ლათინურ ამერიკის [illegible] მემარცხენე მწერალი. კავშირი [illegible] მოკლე ხანში თავის ბეჭდვით [illegible] გამოსაცემად.

პანტელეიმონ ჩხიკვაძე—

—„სართულები"



ბურჟუაზიული კლასიკური ბელეტრისტიკის კრიზისი ისტორიულად მისი კატასტროფით დასრულდა. ეპიურ-მხატვრული შემეცნების ადგილი ფუტურისტულ გიპერბოლებმა და „ტრანსმისიების" მონოტონურ ქებათა-ქებამ დაიკავა. ზუსტად შერჩეული სიტყვიერი მასალის დაუსრულებელმა კომბინაციებმა და მუსიკალური რიტმის ძიებამ ანარქიულ-ბოჰემური ნიჰილიზმით ააფეთქეს კლასიკური ეპოსის, კერძოდ კი ბელეტრისტიკის სათავეები. ფუტურიზმმა უარყო ბელეტრისტიკა, როგორც ფანტასტიკა, და ამით ცდილობდა ეპოსისათვის სასიკვდილო ჭრილობის მიყენებას. ბელეტრისტიკის სიკვდილით ფუტურიზმს სურდა სიტყვიერი მასალისათვის დაებრუნებია აქტიური კატეგორიის უფლებები, რათა დაემტკიცებია, რომ „სიტყვიერი ფორმა არ არის პასიური ალბეჭდვა წინად განზრახული მხატვრული იდეიის, არამედ—აქტიური ელემენტი, რომელიც ახდენს გავლენას თვით იდეურ გეგმაზე". მაგრამ ამ ძიებაში—კლასიკური ბელეტრისტიკის უარყოფით ფუტურიზმმა ვერ მონახა გზა, საშუალება, რომლის შემდეგ გაიხსნებოდა კრიზისების რკალი. ასეთი გამოუვალი მდგომარეობა ფუტურიზმისათვის, როგორც ბურჟუაზიული ხელოვნების უკანასკნელი სახისათვის, ბუნებრივი იყო. ფუტურიზმი სასიკვდილოთ ემუქრებოდა კლასიციზმს და მისტიკას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს იყო [illegible], რომელიც ძლიერ ახლოა მის[illegible]. ფუტურისტებს სურდათ ხელოვნების განახლება თვით „ხელოვნებაში მოცემულ იმანენტურ ძალთა ლოღიკით", რაც პოლიტიკურ ენაზე ნიშნავდა რეაქციასთან ბრძოლას რეაქციონური პოზიციებიდან. ფუტურისტებმა წინააღმდეგ კლასიკური ლიტერატურისა, თავი „დაიცდაბლეს" მოსახლეობის მაღალი ფენების შეგნებამდე, ისინი ხშირად დაჩაგრულთა საშუალოებოს აჯას დროშად აფრიალებდენ, რათა მასები გაეყოლებიათ, მაგრამ [illegible]

ასეთივე როლი ითამაშეს ლიტერატურული ჟანრების შერჩევის და მათი გაგების გამოყენების საქმეში. ფუტურისტები ბელეტრისტიკას არისტოკრატიული სალონების ხელოვნებად სთვლიდენ და მოითხოვდენ პლაკატის, ლექსის და ქრონიკის დიქტატურას, მაგრამ ისინი ვერ ავიდენ პლაკატის, ლექსის და ქრონიკის გამოყენების პოლიტიკურ - მხატვრული შეგნების სიმაღლეზე. ფუტურისტებმა ამ ბრძოლაში ვერ გაიგეს კლასთა ბრძოლის დედა აზრი და ცხოვრების დიალექტიური ბრუნვა. ფუტურიზმით ჩვენში—იხურება ბურჟუაზიული ხელოვნების განვითარების ციკლი.

ჟანრების რევოლიუციონურმა გადახალისებამ პროლეტარულ ლიტერატურაში, ერთის მხრივ უარყო კლასიკურ მწერლობასთან, კერძოდ კი ბელეტრისტიკასთან ნიჰილისტური დამოკიდებულების მეთოდოლოგიური საფუძვლები, მეორეს მხრივ კი ყურადღების ცენტრში პროლეტარული ეპოსის განვითარების საკითხი დააყენა. ამრიგად ბოჰემური ნიჰილიზმის ადგილს იჭერს პროლეტარული რევოლიუციონიზმი: ფორმალისტური სქოლასტიკის ნაცვლად მატერიალისტური დიალექტიკა ბატონდება, რომელიმე ჟანრის მონოპოლიზმი თანაბარუფლებიანად იცვლება, ლექსის დიქტატურა — ბელეტრისტიკის ხარჯზე, ისპობა; „უსაგნო ლირიზმის დევნის საფუძვლებზე — ეპოსი ხდება სოციალიზმის მშენებლობის ეპოქის დიდი მიზნების გამომხატველ გაბატონებულ ფორმად.

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია იმ იდეალისტური თეორიის კრიტიკა, რომელიც ჟანრების ცვლას ხსნის არა კლასობრივ-პარტიულ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით, არამედ თვით ჟანრის „იმანენტურ ბუნებაში მომხდარ ფორმალური ცვალებადობის განცდით" (ბრუნეტიერი). ცხადია, რომ ფორმალური ცვალებადობის განცდა ისევე აუცილებელია, როგორც იდეური სახის საჭიროება, მაგრამ საბოლოო თვალსაზრისით როგორც პირველის, ისე მეორის ცვლილებას იწვევს საწარმოო ძალთა მდგომარეობა და მასზე აღმოცენებული კლასობრივი პარტიული შეგნება. კომუნისტური თვალსაზრისით არ შეიძლება ზაჰესის მოცემა სიმბოლიზმის ენაზე, ისე როგორც არ შეიძლება დიადი გარდატეხის წლების მოცემა ელეგიაში და სონეტში.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ დრომდე პროზის სექტორი საგრძნობლად მოისუსტებდა. ჩვენში ძლიერ დიდხანს **პროზაული მელოდრამა** (კ. ლორთქიფანიძე) და **სანტიმენტალური პროზაიკული თხრობა** (ე. პოლუმორდვინოვი) ჩვენში სადღებოდა პროლეტარულ ბელეტრისტიკად. მარქსისტული ლენინური თვალსაზრისით, როგორც „პროზაული მელოდრამა", ისე „სანტიმენტალური პროზაიკული თხრობა" მეთოდოლოგიურად ყალბია და ეწინააღმდეგება პროლეტარული პროზის (და მათ შორის ბელეტრისტიკის) [illegible] ლაზე დეკადენტურ შტოდან მოდის, ე. ი. „სანტიმენტალურ პროზიდან".

„სანტიმენტალურ პროზაში" გაბატონებულ როლს თამაშობდა და თამაშობს შემთხვევითობა, ბრმა ბედის წერა და სტიქიურობა. ეს სამი ელემენტი ქმნიდა ერთგვარ ფოკუსს, რომელსაც ტიპას „ეგოცენტრიზმი" ეწოდება. ეგოცენტრიზმი ხდებოდა — გამოსავალ პუნქტად მწერლის იდეური, ხერხობრივი და საერთოდ სტილისტური ელემენტების ჩამოყალიბებისათვის.

ასეთი საშიშროების წინაშე სდგას, როგორც „პროზაული მელოდრამა" (კ. ლორთქიფანიძე), ისე „სანტიმენტალური პროზაული თხრობა" (ე. პოლუმორდვინოვი). ეპოსის ეს ორი სახე ადრე თუ გვიან შინაგან აფეთქებას უქადის შემომქმედს, რადგანაც არ შეიძლება უმღერდე ზაჰესს — აკმეიზმის ენაზე და კომკავშირის გმირულ ცხოვრებას სახავდე მოპასანის ნოველებით. საბჭოთა მკითხველს აქვს სრული უფლება მოსთხოვოს პროლეტ. მწერალს — სოციალიზმის მშენებელთა თვალსაზრისის მოცემა, არა სიმბოლიზმის და სხვა დეკადენტური სკოლის ლაბორატორიიდან ნასესხები სიტყვიერი მასალით და განწყობილებით, არამედ სოციალიზმის მებრძოლ ადამიანთა სალაპარაკო ენით და მათი შემეცნების თვალსაზრისით. პროლეტ. მწერალმა არ კმარა იცოდეს დაჭრილი ანდრეი ბოლკონსკის ტრაგედია და ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების" ბნელი ფორმულები, არამედ პირველ რიგში საჭიროა შესისხლხორცება მარქსისტული - ლენინური მეთოდოლოგიის რევოლიუციონური „სული"-ს (მატერიალისტური დიალექტიკა), რომ შეიგნო დედააზრი დღევანდელი ცხოვრებისა.

—:—

პროლეტარულ ბელეტრისტიკაში „პროზაული მელოდრამის" და „სანტიმენტალური პროზის" გვერდით მძლავრ ნაკადად ვითარდება ჯანსაღი ბელეტრისტიკა. ეპოსის ეს ჯანსაღი ნაკადი უკვე გადის მოსამზადებელ, ექსპერიმენტალურ მუშაობის სტადიას და ორიენტაციას იღებს იდეურ და მხატვრულ ოსტატობისაკენ. პროლეტარული ბელეტრისტების ერთი ნაწილი (პ. ჩხიკვაძე, ბ. ჩხეიძე, არ. ჩიჩიბაია) სათავეს უქმნის პროლეტარულ მხატვრულ პროზას. კერძოდ პანტელეიმონ ჩხიკვაძის „სართულებმა" ქართულ პროლეტარულ პროზაში თავისი განსაკუთრებული ეტაპი შექმნა. არსებითად ეს რომანი, მიუხედავად სუსტი ადგილებისა, წარმოადგენს პროლეტ. ბელეტრისტიკის თავისებურ საფუძველს, რომელმაც მომავალში უნდა გახსნას მთელი ციკლი ბოლშევიკური პროზისა. ზოგიერთს შეიძლება ეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ ყოველდღიურ პრაქტიკამ და კერძოდ კი „სართულები"-ს რეზონანსმა დაგვარწმუნა წამოყენებულ დებულების სიმართლეში. „სართულები" პოლიტიკურ-იდეური და მხატვრული თვალსაზრისით თანამედროვე ქართულ პროზაში წინა პლანზე სდგას.

ბოლშევიკურმა გამახვილებულმა ხედვამ, პოლიტიკურმა მომზადებამ, თემატიური მასალის აქტუალობამ, ჯანსაღმა [illegible] ამ ნიადაგზე სიტყვიერი მასალის ზუსტად შერჩევამ „სართულების" ავტორს მისცა საშუალება ეგრძნო სოციალიზმის მშენებელთა მაჯისცემა, მათი მოძრაობის ტემპი და მიზანი. გიგაური (რომანის მთავარი გმირი), მიუხედავად წარსული თავისი ტრადიციების ერთგვარი ზეგავლენისა (თავისებური სანტიმენტალიზმი, ამერიკანული საქმიანობა [illegible] ბულება მავნებელ ძმასთან, ნივთების დიქტატურა ოჯახში, ზოგჯერ ზერელე მოსვლა და არა ლენინური შეფასება ოჯახისა, როგორც სოციალური ერთეულის და სხვა) მაინც ახალი ადამიანის ტიპია; მისი ცხოვრების ევოლიუციაში ჩანასახის სახით მოცემულია ჩვენივე ეპოქის გმირის დაადგების ძირითადი ნიშნები. დაკვირვებული თვალი თხზული „სართულებში" უეჭველად ხახავს, თუ როგორ იზრდება ახალი გმირი, როგორ ქმნის იგი ცხოვრებას და ამ ცხოვრების გარდაქმნასთან ერთად საკუთარ ბუნებას, როგორ მაღლდება შრომის ფასი მომქმედ ადამიანთა შეგნებაში და როგორ იბრძვიან მილიონები კომპარტიის ხელმძღვანელობით „ქვეყნის გადაკეთებისათვის".

„სართულების" ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს საქარხნო-საფაბრიკო მშენებლობა წარმოადგენს. სწორედ ეს მომენტია გადაქცეული აღნიშნული რომანის საყრდენ წერტილად, რომლის გარშემო ბრუნავს ნაწარმოების სიუჟეტი. პანტელეიმონ ჩხიკვაძის განსაკუთრებით სურდა ჩაითვალოს ნივთების და ადამიანთა ურთიერთობის ორგანიზაციული მოწესრიგება. ნივთის ფეტიშიზმი, რომელიც ზოგიერთ პროლეტბელეტრისტის ავადმყოფ თვისებას წარმოადგენს „სართულებში" შეგნებულად უკუგდებულია. ნივთიერი მასალა აქ აღებულია არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც საშუალება, რომელსაც მილიონები იყენებენ სოციალიზმის საშენებლად. რომანში განსაკუთრებით კარგადაა მოცემული მავნებლური ორგანიზაციის მუშაობის დამახასიათებელი თვისება და სასამართლო გამოძიების პროცესი; ამგვარ დეტალებს უეჭველად აზის მხატვრული ოსტატის ხელი.

განსაკუთრებით მხატვრულად არის დამუშავებული მაუდის ფაბრიკის მშენებლობის გრანდიოზული რიტმი; ეს რიტმი იგრძნობა სიტყვიერ მასალის შერჩევაშიც. ტყუილად არ ამბობდა ბიუხერი, რომ შრომის რიტმი კარგი შემომქმედის მიერ პროზაულ დოკუმენტებშიაც გამოიყენების. „სართულებში" შრომის რიტმიული მოძრაობა ზოგჯერ განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს.

რომანში მხატვრული ოსტატობით არის მოცემული სოფლიდან ფაბრიკაში სამუშაოდ ჩამოსული ზოგიერთი გლეხის წვრილბურჟუაზიული ბუნება (სამუშაო იარაღების მოპარვა, განუსაზღვრელი მისწრაფება კერძო საკუთრებისაკენ და სხვა).

—:—

მშენებლობის პრობლემასთან ერთად რომანში მძლავრადაა დასმული ოჯახის პრობლემა. ამ საკითხის დასმა „სართულებში" სრულიად კანონზომიერი და აუცილებელი იყო, რადგან ხუთწლედის გმირის დაბადების და ჩამოყალიბების პროცესში გარემო წრესთან ერთად, უდიდესი გავლენა აქვს ოჯახსაც, სოციალიზმის ყოველდღიური ზრდა საფუძველს უნგრევს ძველ ოჯახს და ამ საფუძვლებზე ყალიბდება ახალი ოჯახის ტიპი, რომლის ფუნქცია ძირითადად იცვლება, განსაკუთრებით იცვლება მოზარდის აღზრდის სისტემა. თავის თავად ეს პროცესი არის გრანდიოზული მნიშვნელობის მოვლენა, რომლის მხატ. განსახიერება პროლეტ. მწერლის პირდაპირი მოვალეობაა.

მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვინც ამ თემას მოკიდა ხელი, დამარცხდა როგორც იდეურად, ისე მხატვრულად. ლიბედინსკის „გმირის დაბადება", ფადეევის „უკანასკნელი უდეგელი", და კ. ლორთქიფანიძის „პირველი დედა" ამგვარი დამარცხების კლასიკური ნიმუშებია.

შემოქმედებით

სამივე ნაწარმოებში მახვილი კუთხით დასმული პრობლემები—ბლაგვი კუთხით გადაწყდა. ნაწარმოების შექმნის ტრადიციულმა მეთოდოლოგიამ სრულიად დაამახინჯა ახალი თემატიური მასალის ფუნქციონალური დანიშნულება. ჩვენი ეპოქის უდიდესი მაშტაბის მოვლენებთან მისვლა ტოლსტოიზმით არ შეიძლება. „იასნაია პოლიანას" სკოლა ძლიერი იყო იქ, სადაც აუცილებელია ტირილი და საკუთარ გულზე ხელების ბრაგუნი პოროტების მოსანანიებლად, მაგრამ იგივე სკოლა სავსებით უძლური აღმოჩნდა რევოლიუციონური მოძრაობის გაგებაში. და დღეს ვინც ცდილობს „იასნაია პოლიანას" სკოლის შემოქმედებითი მეთოდის რესტავრაციას, მას ხელთ შერჩება ტოლსტოიზმის არა მარტო გადმობრუნებული ხელთათმანი, არამედ მისი თითებიდან აგლეჯილი ტყავი.

დღეს პროლეტარულ ბელეტრისტიკაში ერთ-ერთ საშიშროებად, ოჯახისა და კერძოდ ადამიანის ინტიმიური მხარის მოცემის დროს, გადაქცეულია „იასნაია პოლიანა"-ს სკოლა. განა შემთხვევითია ის ფაქტი, რომ უეჭველად ნიჭიერი მწერლის—ფადეევის გმირი ლევინსკინი, თუმცა შორეული ხაზებით მაგრამ მაინც უკავშირდება ტოლსტოის გმირს — ანდრეი ბოლკონსკის. ანდრეი ბოლკონსკის ცხოვრებისა და სიცოცხლის მიზანს შეადგენ და მისწრაფება მშვენიერი, ძლიერი და კეთილი ადამიანისაკენ". მისთვის ჯარისკაცები წარმოადგენდა უჭკვო და უტვინო ადამიანთა ბრბოს", რომლები „დასაბამიდან დონდლონი, ზარმაცნი და მხოლოდ მზის შემყურენი არიან"; განა ზოგჯერ ასევე არ იქცევა ლევინსონი?! მოუსმინოთ: **„ხომ სწორედ ჩვენში, სადაც ადამიანთა მილიონები დასაბამიდან დონდლო, ზანტი, მზის შემყურენი არიან, ჭუჭყსა და სილატაკეში ცხოვრობენ, პირველყოფილი სახნისით ხნავენ, სწამთ ბოროტი და უჭკვო ღმერთი, სახელდობრ ასეთ ქვეყანაში, მხოლოდ ასეთ უტვინობაში შეიძლება აღიზარდონ ასეთი ზარმაცი და უნებო ადამიანები, ასეთი ფუქსავატი მახარები".**

„და ლევინსონი ღელავდა იმიტომ რომ ყველაფერი, რაზედაც ის ფიქრობდა, მეტად ღრმა და მნიშვნელოვანი იყო; იმიტომ რომ ამ სიმწარესა და სიღარიბის დაძლევაში მდგომარეობდა მისი საკუთარი სიცოცხლის მთავარი აზრი, იმიტომ რომ **არავითარი ლევინსონიც არ იქნებოდა, არამედ სხვა, უკეთუ მის ხელში არ ყოფილიყო უდიდესი, ყველა სხვა სურვილებთან მოუსვენარი წყურვილი ახალი, მშვენიერი, ძლიერი და კეთილი ადამიანისა"**, „იგი (ლევინსონი—დ. ბ.) ცდილობდა თავის თავი ისე წარმოედგინა, როგორც ბავშობაში იყო, „და ამ თვალუწვდენელ, მიწიერი, ადამიანური სიმაღლიდან ბატონობდა თავის ყველა სატკივარს, საკუთარ უძლურ სხეულს" (იხ. „განადგურება", გვ 121—122).

ცნობილია, რომ ტოლსტოი თავის პროზაში ძირითადად აქტუალურ პრობლემად ადამიანს და ადამიანობას აყენებდა; მან ადამიანის ძიებას მოანდომა მთელი მხატ. შემოქმედება. ადამიანი და ადამიანობა ტოლსტოისთვის წარმოადგენდა ჭეშმარიტების კრიტერიუმს, ამ საფუძველზე აწესრიგებდა ის უდიდესი მხატვარი მომქმედ გმირების ყოფას. ფადეევსაც ჭეშმარიტების საზომად ადამიანობა გაუხდია. როგორც „განადგურებიდან" მოყვანილი ადგილი ისე „უკანასკნელი უდეგელი" ხასიათდება ბოლშ. პარტ. შინაარსისაგან დაცლილი ცნების (ადამიანობა) ტოლსტოისებური ხმარებით. აქ ადამიანურობა გადაქცეულია თვითმქმედ არსად, დამოუკიდებელ კატეგორიად, რომელიც განაგებს ადამიანის მოქმედებას. ამიტომ არის, რომ ზოგჯერ ლევინსონი ბოლშევიკური შეგნების სიმაღლიდან კი არ იხედება, „არამედ ადამიანური სიმაღლიდან ბატონობს თავის ყველა სატკივარს", კომუნისტისათვის დამახასიათებელი თვისების მაგიერ მის სულში იყო „წყურვილი... მშვენიერი, ძლიერი და კეთილი ადამიანისა".

როგორაა დასმული ეს კითხვა „სართულებში"? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ პანტელეიმონ ჩხიკვაძის რომანში ეს პრობლემა შედარებით სწორად წყდება.

მიუხედავად ზოგიერთ დეტალებში კლასიციზმის გავლენებისა, ადამიანისა და ოჯახის „საჭირბოროტო" საკითხები ბოლშევიკურ პრიზმაშია გატარებული. ლუარას (გიგაურის ცოლი), რომელსაც ფარავს ძველი ცხოვრების ძონძები, ყოველგვარი სანტიმენტალიზმის გარეშე, უპირისპირდება ბოლშევიკი გიგაური—ყოფაცხოვრების ახალი ნორმებით. მაგრამ მიუხედავად ამისა ქალი ახერხებს გიგაურის ოჯახის გადაქცევას მტრის ბარიკადად. საკუთარი ოჯახი გიგაურისათვის იქცევა შემობორკავ ძალად, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე მის მოსპობას ცდილობს. გიგაური ებრძვის საკუთარ ოჯახს და ხშირად ეს ბრძოლა კულმინაციონურ სიმაღლეს აღწევს. ამით აიხსნება, რომ გამწვავებულ ბრძოლის პროცესში გიგაური უშვებს „მემარცხენე" შეცდომებს, რაც გამოიხატება საერთოდ ოჯახის გადაფასებაში. მაგრამ ეს შეცდომა რომანის კანონზომიერი განვითარებით თანდათან სუსტდება და ბოლოს სწორდება. მაგრამ თავისთავად მომენტი ბრძოლისა ყურადღებოა არა მარტო პოლიტიკური მშენებლობით, არამედ მხატვრული გაფორმებითაც. ხშირად ეს ბრძოლა ისეთ გამწვავებამდე დადის, რომ პირდაპირ ხელით „ეხებით" ძველი ოჯახის ნგრევის და ახალი ოჯახის შექმნის პროცესს.

რომანში მოზარდი თაობის აღზრდის პრობლემა სწორადაა გადაწყვეტილი.

საერთოდ წერილში ძნელია ყველა [illegible] რთული საკითხის [illegible] პანტელეიმონ ჩხიკვაძის „სართულები"-ში [illegible] მული და მხატვრულად გადაწყვეტილია, მაგრამ ერთი მაინც ნათელია, რომ სართულების ავტორი, არა მარტო პროლ. პროზის, არამედ საერთოდ ქართულ ბელეტრისტიკაში ყოველდღიური ბრძოლით იკავებს მოწინავე ადგილს და ხდება მისი ცენტრალური ფიგურა.

ეს ერთხელ კიდევ ზედმეტად ამტკიცებს სოციოლოგიური - მხატვრული პროზის ბრწყინვალე გამარჯვებას.

დ. ბენაშვილი

საქ. პროლეტმწერალთა ასოც.
ქუთაისის განყოფილების მუშაობა
უნდა გარდაიქმნას

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მე-7 პლენუმმა მთელი სიმძაფრით დააყენა საკითხი მუშაობის გადახალისების აუცილებლობის შესახებ. მე-7 პლენუმის ამ დირექტივების განხორციელების გარეშე შეუძლებელია პროლეტარულ მწერლობის შემოქმედებითი ზრდა.

როგორია მდგომარეობა ადგილებზე? კერძოდ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ასოციაციის ქუთაისის განყოფილების მუშაობა.

ორგანიზაციის ზრდა.

ასოციაციის ქუთაისის განყოფილებაში დღემდე ირიცხებოდა 18 წევრი, შემდეგ მიემატა მწერლობაში გაწვეული დამკვრელი მუშები—30 კაცი. უნდა აღინიშნოს, რომ ასოციაციის ზრდა მუშათა ხარჯზე მიმდინარეობს. დღეს ქუთაისის განყოფილების მუშაობა ძალზე მოისუსტებს. **ამაში ნაწილობრივ ბრალი მიუძღვის საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის სამდივნოსაც, რომელიც ვერ უწევდა განყოფილებას სათანადო ხელმძღვანელობას.** ეს კი კონკრეტულად იმაში გამოიხატება, რომ ცენტრიდან მათ არ ეგზავნებოდათ სისტემატიურად დირექტივები დამკვრელ მუშათა გაწვევის საკითხებზე. ქუთაისის განყოფილებამ ჩაატარა ტყიბულში მუშათა გაწვევა მწერლობაში, მაგრამ შემდეგ მუშაობას შუა გზაზე მიანებეს თავი და ეს საქმე თითქმის ჩაიშალა. გარდა ამისა ქუთაისის განყოფილება არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს ადგილობრივ კომკავშირულ მწერალთა წრეს, ძალზე სუსტად მიმდინარეობს კომკავშირულ ლიტერატურის დათვალიერება.

წრეები იშლება.

ქუთაისის განყოფილებამ ჩამოაყალიბა მთელი რიგი წრეები: რკინის გზის მუშების, მეტყევეთა კავშირის, ძაფსაღებ ქარხნის მუშების, სტამბასთან, რიონგესში, მაუდის ქარხანასთან და სხვა.

ამ წრეების მუშაობა ძალზე სუსტია. **სამი წრე მათგან უკვე დაშლილია.** გარდა ამისა წრეზე მიმაგრებული ამხანაგები წრეებში არ დაიარებიან. **უაღრესად მოისუსტებს მუშაობა ნაცუმცირესობათა შორის:** ასოციაცია არავითარ მუშაობას არ აწარმოებს ებრაელ ახალგაზრდობაში, „დარებკომის" დახმარებით კი შესაძლებელი იყო ამ საკითხის მოგვარება.

ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითება არ დაუმუშავებიათ.

ასოციაციის ქუთაისის განყოფილების მასიური მუშაობა აუცილებელ გამოცოცხლებას მოითხოვს. მწერალთა კადრები არ არიან დაკავშირებული ქარხნებთან, საწარმოო ცხოვრებასთან. **ასოციაციას არ დაუმუშავებია ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითება**, არავითარი პრაქტიკული ღონისძიება არ ყოფილა მიღებული ამ მითითებათა განსახორციელებლად. ამის შედეგია ის გარემოება, რომ ამ ბოლო დროს ასოციაციამ რიონგესში ვერ მოაწყო ვერც ერთი მხატვრული სალამო, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მხატვრული სიტყვით ბრძოლა ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითების რეალიზაციისათვის.

ქუთაისის განყოფილებამ პირველ ხანებში სათანადო მუშაობა აწარმოვა დამკვრელ მუშების მწერლობაში გასაწვევად. ადგილობრივ ორგანოებში („ლიტერატურულ ფრონტზე", „მწერლობის დამკვრელი" და სხ.) იბეჭდებოდა გაწვეულთა ნაწარმოებები ავტორთა სურათებით: დღეს კი მუშაობა ამ მხრივ აღარ სწარმოებს.

ქუთაისის ასოციაციის მუშაობის აქტივში შედის ის ფაქტი, რომ იგი მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა სამეურნეო კამპანიებში, 1931 წელს საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით ასოციაციის ბრიგადის მიერ შემოვლილ იქნა 15 სოფელი, ბრიგადა ამ სოფლებში აწარმოებდა მხატვრულ და საგიტაციო მუშაობას. 1932 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიაშიც ასოციაცია მონაწილეობას იღებს.

გავაძლიეროთ ბრძოლა ორ ფრონტზე.

ქუთაისის განყოფილებამ დღემდე არაფერი არ სთქვა ფედერალიზმის გარშემო წარმოებულ დისკუსიის შესახებ. მთელ რიგ ამხანაგებს ჯერ კიდევ არ დაუგმიათ მთელი რიგი მემარჯვენე, „მემარცხენე" ხასიათის შეცდომები.

ასოციაციის ქუთაისის განყოფილება აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა ხელოვნების ფრონტზე არსებულ უცხო იდეოლოგიის წინააღმდეგ. კონკრეტულ ფაქტად შეიძლება დავასახელოთ ის ბრძოლა, რომელიც აწარმოა ასოციაციამ ქუთაისის მუსიკალურ ტეხნიკუმში არსებულ წვრილ-ბურჟუაზიულ ქაოზის წინააღმდეგ.

გავშალოთ მოქმედებითი დისკუსია

წმენდის ჩატარებამდე საბჭოთა მწერლობის ფედერაციის ქუთაისის განყოფილებაში საკმაოდ იყრიდა თავს ერთი ხალხი, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ჩვენი სინამდვილის მიმართ. როგორც კურიოზი აღვნიშნავთ, რომ ფედერაციის რიგებში, იმყოფებოდა ვიღაც ვაჭარი, რომელიც საბჭოთა მწერლის მანდატით მივიდა ალმასკომში და მოითხოვა დუქნის გაფართოება. გარდა ამისა, ორგანიზაციაში თავს იყრიდა ქაოზის იდეების ხალხი, სიმბოლისტურად განწყობილი ელემენტები, ისინი თავისი საქმიანობით აშკარად სწამლავდნენ ჯანსაღ ლიტერატურულ ატმოსფერას.

ქუთაისში მწერლობის თანამგზავრულ-მოკავშირე ნაწილი თანდათან სცდილობს შეუფარდოს თავისი მუშაობა სოციალისტურ მშენებლობის ამოცანებს. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის შეცდომები, რომელთაც აქ ადგილი ჰქონდა. ზოგიერთი ამხანაგი აშკარა შემარიგებლობას იჩენდა ცალკე სიმბოლისტურ ნაწარმოებთა შეფასებაში. ასე მაგ. ამხ. პ. ბახტურიძე სწერს: „გიონ დარანა" ეს ჩიანელის ის ნაწარმოებია, რომლითაც ერთგვარ გარდატეხას ვამჩნევთ მწერლის მიერ თემების არჩევის საკითხში. მართალია, არც ეს ნაწარმოებია სავსებით თავისუფალი მოდერნისტული გადახრებისაგან, მაგრამ ამ რომანში ავტორმა სცადა ცხოვრების რეალური მოვლენებს შეხებოდა, აეწერა ჩვენი ქვეყნის სინამდვილის განსაზღვრული ეტაპი".

ამხ. ბახტურიძე აქ აშკარაა მემარჯვენე შეცდომას უშვებს, ისეთი სიმბოლისტური ბანალობით სავსე რომანი, როგორიც არის „გიონ დარანა" არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს მწერლის იდეოლოგიურ პლიუსად.

ქუთაისის პროლეტარული მწერლობა შემოქმედებითი ზრდის პროცესში იმყოფება. მთელი რიგი ამხანაგებისა (მამია ახათიანი, გიასელი, ხოშპირელი, კ. თავბერიძე და სხვ.) სცდილობენ მოგვცენ ახალი ყოფის მთელი რიგი მნიშვნელოვანი მომენტების მხატვრული ასახვა. განსაკუთრებით საყურადღებოა ახალი კადრებიდან **ვლ. შავგულიძე, ს. ისიანი, ს. თევანიძე, ჩოგოვაძე, ჯანიშვილი** და სხვ.

ეს ამხანაგები შეადგენენ ქუთაისის პროლეტარულ მწერლობის აქტივს.

პროზის ფრონტზე აქტიურად მუშაობს **ვლ. შავგულიძე.** განსაკუთრებით საინტერესოა მისი „ანთებული გულები".

ქუთაისის მწერალთა შემოქმედებითი მუშაობას ახასიათებს ჯერ კიდევ უაღრესად სუსტი ლიტერატურული ტეხნიკა, მრავალ შემთხვევებში იდეოლოგიური გაურკვევლობა და სხვ. ყოველივე ეს ცხადია სათანადო ზეგავლენას ახდენს მათ მუშაობაზე.

ქუთაისის პროლეტარულ მწერლობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს შემოქმედებითი დისკუსიის საკითხებს და გააძლიეროს ბრძოლა დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდის დაუფლებისათვის.

ქუთაისის პროლეტარულ მწერლობაში შემოქმედებითი დისკუსია ჯერ კიდევ არ გაშლილა. შემოქმედებითი ჯგუფებიც არაა ჩამოყალიბებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ახალგაზრდა პოეტების ერთი ჯგუფის გამოსვლას პრესაში. ამ ამხანაგებმა სცადეს ასოციაციის სამდივნოს ნებართვის გარეშე ჯგუფის ჩამოყალიბება, ეს კი არ არის სწორი. ჯგუფი უნდა დამტკიცებულ იქნას ასოციაციის სამდივნოს მიერ და შემდეგ შეიძლება მის არსებობაზე ლაპარაკი.

ქუთაისის განყოფილებამ ჩაატარა დისკუსია თანამგზავრობის და მოკავშირეების საკითხებზე.

ფედერაციის მუშაობა ერთ წერტილზე გაიყინა

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში არის **ქუთაისის საბჭოთა მწერლების ფედერაცია.** ფედერაციაში გაერთიანებულია 28 კაცი. ფედერაციაში, მართალია, ჩატარებულ იქნა წმენდა, გარიცხა 11 კაცი, როგორც კლასიურად უცხო და რეაქციონური მსოფლმხედველობის მატარებელი ხალხი, მაგრამ მას შემდეგ ფედერაციას არავითარი მუშაობა არ უწარმოებია. საჭიროა ამ მხრივ მუშაობის დაკვრითი წესით გამოცოცხლება. ქუთაისის ასოციაციამ უნდა შესძლოს ხელმძღვანელობა გაუწიოს მწერალთა ფედერაციას, მან უნდა აწარმოოს ფხიზელი მუშაობა პარტიის ლიტერატურის დარგში პარტიის ხაზის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ.

„სალიტ. გაზ." ბრიგადა

ლიტერატურულ წრეების მასიური დათვალიერება

საკავშირო კომკავშირის ცეკას და ამ.-კავკ. სამხარეო კომიტეტის დადგენილებათა თანახმად 1 აპრილიდან 1 მაისამდე უნდა ჩატარდეს ლიტერატურულ წრეების მასიური დათვალიერება. დათვალიერების მიზანია გამოარკვიოს რამდენად შესძლო კომკავშირმა ლიტწრეების მუშაობაში ახალგაზრდობის ჩაბმა ლიტწრეების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და პროლეტარული ლიტერატურის მუშაობის გარდაქმნისათვის პარტიის დადგენილებათა შესრულების შემოწმების მიზნით.

ამასთან დაკავშირებით, პროლეტმწერალთა ასოციაცია ახლავე უნდა შეუდგეს პრაქტიკულ მუშაობას და საქართველოს მნიშვნელოვან საწარმოო და სამეურნეო უბნებში გადაგზავნოს საჭირო ბრიგადები, ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად.

რაც შეეხება კომკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებს, მათ ბიუროების შემადგენლობიდან უნდა გამოჰყონ ამხანაგები, რომელთაც აქვთ სათანადო თეორეტიული მომზადება და გამოცდილება ლიტერატურულ მუშაობის დარგში და ამ ამხანაგების მონაწილეობით აქტივისტებისაგან შეადგინონ ადგილობრივი დამთვალიერებელი ბრიგადები.

ლიტწრეების მუშაობის დათვალიერებაში თვით ლიტწრეების წევრებს გარდა ჩაბმულ უნდა იქნეს მუშებისა და კომკავშირულ ახალგაზრდობის ფართე მასა. დათვალიერება უნდა ატარებდეს თვითშემოწმების ხასიათს და მან პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიოს წრეებს მუშაობის გარდაქმნასა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. ამავე დროს დათვალიერების მსვლელობაში უნდა ჩამოყალიბდეს ახალი ლიტწრეები, რასაც უნდა უხელმძღვანელონ პროლეტმწერალთა ასოციაციის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა.

მწერალი და სასცენარო მუშაობა

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ კინემატოგრაფიაში მთავარი საფუძველი, რომელზედაც აგებული უნდა იყოს თითქმის მთელი მისი მუშაობა, არის კინო-სცენარი. კინო - ფაბრიკების საწარმოო გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად უნდა ჩაითვალოს შესაფერი სცენარების უქონლობა. სცენარების უქონლობა უმთავრესად დაკავშირებულია კადრების საკითხთან.

აქამდის კადრების საკითხი კინემატოგრაფიაში თვითდინებაზე იყო დამყარებული. კინო ელოდა სცენარისტის თავისთავად მოსვლას. ცხადია, ასეთი მდგომარეობა ჩვენს კინომრეწველობას მიიყვანდა გარღვევებამდე. საჭიროა სცენარისტების კადრების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

საიდან უნდა მიიღოს კინემატოგრაფიამ ახალი პროლეტარული კინო-კადრები? პირველყოვლისა პროლეტ. მწერალთა ასოციაციიდან, საბჭოთა მწერლების ფედერაციიდან, შემდეგ კინოს მეგობართა საზოგადოებიდან და ლიტწრეებიდან. ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს აგრეთვე საქ. დრამკომმა. საქართველოს ლიტორგანიზაციებმა და დრამკომმა უნდა უზრუნველჰყონ ჩვენი კინემატოგრაფია სასცენარო დარგში მუშაობის მსურველთა ახალი კადრებით.

უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე კინოს ხელმძღვანელობა ვერ ეპყრობოდა სათანადო ყურადღებით კინოში სამუშაოდ მოსულ მწერლებს. კინო-წარმოება კინოში მომუშავედ მოსულ მწერლიდან იმ თავითვე მოითხოვდა გასაშვებად გამზადებულ სცენარს. არავითარი სწავლება, არავითარი ზომები იმისათვის, რომ მწერალი დაუფლებოდა სცენარის წერის ტეხნიკას, არ იყო მიღებული.

დღეს, როდესაც ტეხნიკის დაუფლების საკითხს წარმოების ყველა დარგში დიდი მნიშვნელობა ეძლევა, ცხადია კინო-წარმოებაშიაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და მწერალს სათანადო პირობები უნდა შეექმნას სცენარის წერის ტეხნიკის დაუფლებისათვის. ამრიგად ერთ ერთი მთავარი პირობაა: მწერლების მიერ სცენარის წერის ტეხნიკის დაუფლება.

გარდა ამისა, მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი არის სასცენარო დარგში მომუშავეთა მატერიალურად უზრუნველყოფა. სამწუხაროთ, ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის „მომემარცხენო" გათანაბრება ხელფასის საკითხში. საჭიროა კინოში სამუშაოდ მოსულ მწერლისათვის დაწესებული იყოს სათანადო მინიმუმი, რომ მწერალი მწერლობაში მუშაობასთან პარალელურად დაინტერესებული იყოს აგრეთვე კინო-მუშაობით. ამით მწერალი უფრო მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობს კინო-წარმოების წინაშე.

სასცენარო კვალიფიკაციას მოკლებული სცენარისტი უნდა დაინტერესებული იყოს მიიღოს სათანადო კვალიფიკაცია და გადავიდეს კვალიფიციურ სცენარისტებში. ხელფასის სწორი ორგანიზაცია კი უნდა იძლეოდეს სამისო სტიმულს მწერლისათვის. მწერალი არ უნდა გრძნობდეს თავის თავს კინოში, როგორც „მოაგარაკე" წარმოებაში, რომელიც მუშაობს მხოლოდ დროებით იმისათვის, რომ „ცოტათი წაიმუშაოს" (სტალინი). ასეთი „მოაგარაკის" ტენდენციები საბოლოოდ ამოფხვრილ უნდა იყოს მწერალთა შორის. ასეთ ტენდენციების გავრცელებაში თვით კინო-წარმოებასაც მიუძღვის ბრალი.

— მოიტანე მოთხრობა და მეტი არაფერი არ გვინდა შენგან — ასე ეუბნებოდენ კინოში დღემდე მწერლებს. რასაკვირველია, რომელიმე მოთხრობა ან პიესა მწერლისა შეიძლება გამოყენებული იყოს საეკრანოდ, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ყოველი მოთხრობა როდია კინო-ლიბრეტო. ლიტერატურული მოთხრობა ბევრად განსხვავდება კინო მოთხრობისაგან, ანუ როგორც ჩვენ კინემატოგრაფისტები ვეუწოდებთ, ლიბრეტოსაგან. ლიტერატურული მოთხრობა უნდა გადაკეთებულ იქნეს კინო-ლიბრეტოდ, სადაც ნაკლები იქნება აღწერა, დიალოგები, ფსიქოლოგიზმი და მეტი მოქმედება, პლასტიური და დრამატიულად შეკრული მასალა, ესე იგი ყოველი ლიტერატურული მოთხრობა უნდა ალაპარაკდეს კინო-ენით. ამისათვის კი საჭიროა კინოს სპეციფიკის შესწავლა.

კინო-სურათის ხარისხი და ღირსება დამოკიდებულია უშუალოდ სცენარის ღირსებაზე. წინათ სცენარს კინო-რეჟისორი და მასთან ერთად კინო-წარმოებაც უცქეროდა როგორც ნახევრად ფაბრიკატს, ნედლ მასალას, რომლისგანაც რეჟისორს შეუძლია რაც უნდა ის გააკეთოს. სცენარს უცქეროდენ როგორც გეგმას, ნახაზს, რომლის მიხედვით რეჟისორს უნდა [illegible] კინო-სურათი.

რასაკვირველია, ასეთი შეხედულება კინო-სცენარზე დღეს მეტად მავნე და მიუღებელია, რადგან კინო-სცენარის იდეოლოგიურ - მხატვრულ შეუფასებლობიდან გამომდინარეობს ხშირად კინო-სურათის მეტად მდარე მხატვრული ხარისხი და მიუღებელი იდეოლოგია. კინო-სცენარი უნდა წარმოადგენდეს სრულღირებულების მხატვრულ ნაწარმოებს, ისევე როგორც ყოველი რომანი, მოთხრობა ან ნოველა ლიტერატურაში. მაგრამ ეს უნდა გაგებულ იქნას არა ისე, ვითომ კინო-სცენარი წარმოადგენს ლიტერატურულ ჟანრს ზემოდ ჩამოთვლილ სხვა ჟანრთა შორის. რასაკვირველია, არა. მიუხედავად ამისა კინო-სცენარი იდეოლოგიურ მხატვრულ ხარისხით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს რომელიმე ლიტერატურულ ჟანრს, კინო-სპეციფიკის დამატებით, ესე იგი კინო-სცენარი უნდა იყოს სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოები კინო-სპეციფიკის გათვალისწინებით.

რას მოვითხოვთ დღეს კინო-სცენარისაგან? იდეურად დატვირთულობას (მაღალი იდეურობა), ღრმა და დიდ აზროვნებას, იდეოლოგიურად მისაღებ და დრამატიულად შეკრულ მაგარ სიუჟეტს. სცენარისტი უნდა დაეუფლოს დიალექტიურ მატერიალიზმის მეთოდს, მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას და მასთან ერთად შეისწავლოს და შეიგნოს კინო-ხელოვნების სპეციფიკა.

ახალმა ხელმძღვანელობამ უკვე მოახდინა გარდატეხა სახკინმრეწვის მუშაობაში და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მწერლების მიზიდვას კინო - სცენარისტების კადრების გასაძლიერებლად. თავის მხრივ მწერალთა ორგანიზაციებმაც უნდა გამოიჩინონ მეტი უნარი და სურვილი კინოში მუშაობისადმი. მწერლობა უნდა დაეხმაროს კინო-წარმოებას მაღალ ხარისხოვან მხატვრულ ნაწარმოების მიწოდებით. ამისათვის კი მწერალს აკლია მხოლოდ კინოს სპეციფიკის ცოდნა და კინო-წარმოებამ ყოველგვარი ზომა უნდა მიიღოს, რომ საჩქაროდ მოაწესრიგოს ეს საკითხი, რათა კინოში სამუშაოდ მოსულმა მწერალმა შესძლოს კინო - სცენარის წერის ტეხნიკის მოკლე დროში დაუფლება.

შ. ალხაზიშვილი

ბურჟუაზიას მოსწყინდა...

მხატვრები და ყასბები

რაც დრო გადის მსოფლიო ბურჟუაზია თანდათან იძირება გახრწნილების წუმპეში. ის დაავადებულია ყველა გადამდები სნეულებით და ამაოთ ცდილობს თავი დააღწიოს აუცილებელ დაღუპვას.

მორალურ გახრწნასთან ერთად დაეცა და დაქვეითდა ბურჟუაზიის „კულტურული გემო". მართალია ბურჟუაზია ყოველთვის გზას უხშობდა ჭეშმარიტ ხელოვნებას და ქოლავდა ნათელ აზრს, მაგრამ ბოლო წლებში მან აშკარად გამოაჩინა თავისი ბუნება, როგორც გაწვრთნილმა მხეცმა, რომელსაც უკანასკნელ კბილის მოძრაობასაც უსპობენ.

ბურჟუაზია არა მარტო პროლეტარულ კულტურას ებრძვის, არამედ ზურგს აქცევს თავის ინტერესების სამსახურში მყოფ ხელოვნებასაც. ბურჟუაზია ეტანება უფრო მსუბუქ „გასართობებს". მას უფრო სჯერა ხირომანტების, სპირიტისტების და ყველა ამგვარ შარლატანთა „წინასწარმეტყველების", ვიდრე ფილოსოფოსების და მოაზროვნეების", ფოტოგრაფია და კინო კლავს მხატვრობას. სიმშილისაგან თავის დასაღწევად მხატვრები თავიანთ სურათებს სცვლიან კარტოფილზე, პურზე, ტანისამოსზე.

თუ როგორ ცხოვრობენ მხატვრები ბერლინში, ამის საილუსტრაციოდ საკმაოა მოვიყვანოთ პატარა ამონაწერი უცხოეთის გაზეთიდან: „ბერლინის მხატვრებს შორის გაჭირვება დღითი-დღე მწვავე ხასიათს იღებს. მხატვრები ფიქრობენ ურთიერთ დახმარების ორგანიზაციაზე, მაგრამ რა დახმარება უნდა გაუწიონ ერთმანეთს ღატაკებმა და შემდეგშიაც ხელფასის შოვნის პერსპექტივებს მოკლებულებმა! სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მხატვრები აღტაცებით შეხვდენ მხატვარი ქალის **ანნოტ-იაკობის** წინადადებას: სურათები და ქანდაკებები გადასცვალონ პირველ საჭიროების საგნებზე. ექიმებმა აღმოუჩინონ საექიმო დახმარება მხატვრებს—ექიმების მისაღებ კაბინეტებში არაოდეს არ იქნებიან ზედმეტნი კარგი სურათები! ყასბებმა და მეწვრილმანეებმა უნდა ისარგებლონ შემთხვევით და ნაღდის გაუღებლად მუქთად შეიძინონ მხატ. ნივთები. ეს იმავე დროს კეთილი საქმეცაა. შეიცვლება დრო და შეიძლება ამ სურათებით იმათმა უფრო მეტი მოგება ნახონ, ვიდრე დღეს აქვთ ჩვეულებრივ ვაჭრობისაგან—დასძენს გაზეთი.

ანნოტ-იაკობის იდეის განსახორციელებლად ბერლინში დაარსდა მხატვართა სპეციალური ბიურო".

მახინჯების დასი

ბურჟუაზიული კინო გადაქცეულია ქუჩა-გრძნობებისა და მასსების დამორჩილებელ საშუალებად. ბურჟუაზიული კინო ცდილობს სანტიმენტალური და ჯამბაზური სურათებით დაამშვიდოს პროლეტარიატის „აჯანყებული სული", სხვა გზით წარმართოს მისი ყურადღება. ამასთან ერთად ბურჟუაზია კინოსაგან მოითხოვს „არაჩვეულებრივ„ და „უცნაურ" სანახაობას.

ამ რეცეპტის მიხედვით ჰოლლივუდში მეტრო-გოლდვინგაიერის კინო-სტუდიამ შეადგინა ორიგინალური დასი და შეუდგა ფილმა „საკვირველება"-ზე მუშაობას. დასში შედის: **კუ-კუ**—ქალი ფრინველი, კუკუ საოცრათ გავს ყანჩას, **ი. რობინზონ**—კაცის ჩონჩხი; **მარტა**—დაბადებით ცალხელა, მეტად დახელოვნებული ფეხებით არშიის ქსოვაში; **შილცე**—ზედმეტ სახელად „ქინძისთავა", მას ტანი აქვს ნორმალური ქალის, მაგრამ თავი კი წარმოუდგენლათ პატარა—ქინძისთავის მსგავსი; **ოლგა**—ქალი, რომელსაც კაცივით აქვს წვერ-ულვაში; **ჟოზეფინა-ჟოზეფ**—ნახევრად ქალი, ნახევრად კაცი, **სიამელი ტყუპი დები** და სხვ. მახინჯნი.

რა საჭიროა კარგი მსახიობები! ბურჟუაზიას მოსწყინდა თეატრი, ნამდვილი ხელოვნება! თავის უკანასკნელ წუთებში მას უნდა მხოლოდ ბრიყვული „გართობა". ასეთი სურათები იმავე დროს „საჭირო" გავლენას მოახდენენ... მასებზე, მასში აღძრავენ „ღვთის შიშს".

ამ გზას ადგია ბურჟუაზიული მწერლობაც: ბულვარული რომანები, უსულგულო, „იოლთი" საკითხავი წიგნები—აი რას აქვს გასავალი დღეს ბურჟუაზიაში.

მეცნიერებაც ბურჟუაზიას უნდა მხოლოდ ისეთი, რომელიც მას დაეხმარება მუშათა კლასის უფრო მოხერხებულად ექსპლოატაციაში, ხელს შეუწყობს მის კუჭნაწლავების ნორმალურ მოქმედებას და.. მისცემს გარყვნილებისათვის მეტ ენერგიას.

გამოფხიზლებული პროლეტარიატი კარგად ხედავს ყველაფერს ამას და ძალას იკრებს, რომ ბურჟუაზიის ამ „კულტურულ ბარბაროსობას" ბოლო მოუღოს.

[illegible] ტრიბუნა

სიმონ ჩიქოვანის
შემოქმედება

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითი გზა ახალი პოეტური მეტყველებისათვის ბრძოლის რთული და წინააღმდეგობათა დაძლევის ხაზით აღმავალი პროცესია. ლიტერატურულ ბუნტარობიდან პროლეტარიატის შემოქმედებითი მოკავშირეობამდე ჩიქოვანმა განვლო საკმაოდ მრავალმხრივი, თანმიმდევრობით და ტეხილებით აღნიშნული მანძილი. ჩიქოვანის პოეტური მუშაობისათვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო ეპიგონიზმის და მიმბაძველობის უარყოფა.

ჩიქოვანის პოეტური კონცეპცია ყალიბდებოდა და ვითარდებოდა საქართველოს გასაბჭოების ნიადაგზე შექმნილ ახალ ჯანსაღ სოციალურ ატმოსფერაში. მიუხედავად ამისა პოეტის მუშაობის პირველი პერიოდი ვერ უკავშირდებოდა საქართველოში პროლეტარული რევოლიუციის პირველსავე ეტაპზე გაშლილ კლასობრივი ბრძოლის და მშენებლობის პრაქტიკას. ცნობილია, რომ ყოველი შემოქმედის ფორმაცია განისაზღვრება პირველ რიგში და უმთავრესად ქვეყნის ეკონომიურ და სოციალურ ვითარებით, მაგრამ არა უშუალოდ და პირდაპირ. ყოველი პოეტის განვითარება მისი კონცეპციის და კრედოს ჩამოყალიბება ბევრათაა დამოკიდებული წინა ლიტერატურული სიტუაციისაგან და გარემოცვისაგან.

საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში ქართული პოეზიის არეზე უძლიერეს სექტორს ბურჟუაზიულ დეკადენტური პოეზია წარმოადგენდა. ერთის მხრივ „ცისფერი ყანწების" პოეტური ბოჰემა. დეკადენტური მისტიციზმი და ავადმყოფური ესთეტიზმი, მეორეს მხრივ დემოკრატიულ-რევოლიუციონურ ტრადიციებისაგან საბოლოოდ განიარაღებული და ლიტერატურულ რეაქციის ქაოზში მოქცეული მენშევიკური „დემოკრატიის პოეზია". მთელი ეს ლიტერატურული ბანაკი ამოძრავებული პროლეტარული რევოლიუციის იდეებისა და ტენდენციებისადმი დაპირისპირებით, მის წინააღმდეგ ბრძოლით ამწყვდევდა ქართულ ლიტერატურას ჩამორჩენილობისა და კონსერვატიზმის რკალში. ქართული მწერლობის ფეოდალურ, ბურჟუაზიული ბანაკი ლიტერატურულ ფრონტს იყენებდა, როგორც ტრიბუნას მომაკვდავი კლასის იდეების საგიტაციოთ. პროლეტარული მწერლობა ჯერ კიდევ სუსტი იყო, რომ ერთიანად დაპირისპირებოდა და დაეძლია საკმაოდ დიდი ტრადიციების მქონე ფეოდალურ ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული მწერლობა. ასეთ ლიტერატურულ გარემოცვაში იწყება ჩიქოვანის მუშაობის პირველი პერიოდი. იგი გამოდის მემარცხენე, ახალგაზრდა ინტელიგენციის ლიტერატურულ თაობის ერთ-ერთ მეთაურად. ქართული ფუტურიზმის ახალგაზრდა თაობა დაუპირისპირდა მემარჯვენე რეაქციონურ ლიტერატურულ ბანაკს. ჩიქოვანი ამ ბრძოლის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ორგანიზატორია, მისი პირველი პერიოდის პოეზია არის ბრძოლა ან უფრო სწორად რომ ვთქვათ აჯანყება მემარჯვენე რეაქციონურ მწერლობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ბრძოლა მოკლებულია კლასობრივ მიზანდანიშნულებას, იგი არ მომდინარეობს პროლეტარიატის იდეური პოზიციებიდან. მას აშკარა წვრილ-ბურჟუაზიული ხასიათი აქვს.

„შენ ფოტროდან ხარ, მე ფოლადით გამოვითალე
შენ ეტრფი ძველს—უცხოელის მტვრიან ჰიანურს.
მე მინდა ხალხს დავუტოვო სიტყვა მართალი,
დავეძებ აზრს გამჭრიახს და ადამიანურს.

ასე უპირისპირდება ახალ სოციალურ გარემოცვაში აღმოცენებული პოეტი წინა ლიტერატურულ თაობას, მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ არის კლასობრივი წინააღმდეგობა. ლექსში „მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს", რომელშიაც არის ცდა რომანტიულ პოეზიასთან დაპირისპირების, ბარათაშვილის პოეტური ტრადიციებიდან უკუფენის, მაინც იგრძნობა, რომ პოეტი ვერ გრძნობს რომანტიულ კულტურისაგან კლასობრივად გამოთიშვას და კონფლიქტს.

„შენ პირველი ხარ და უკანასკნელს
ჩემში ხედავს დროს წლოვანება.
„და შიშველ სულში მეც მესობიან
ღამეები მტანჯველ ლურსმნებათ".
„შენ შვილდი ხარ და მე ისარი,
ბრძოლას შევადგენთ გამოგონებულს".
„და შენი სისხლი ჩემს ძარღვში რომ სდგას
შთამომავლობას მე დაუმტკიცებ".

ამრიგად ჩიქოვანი თავის პოეტურ შემოქმედებას მაინც უკავშირებს ლიტერატურულ მემკვიდრეობას და კერძოთ რომანტიული პოეზიის ზენიტს—ბარათაშვილს.

პირველი პერიოდის ჩიქოვანის ლიტერატურული მუშაობა უმთავრესად ლიტერატურულ ფორმაზე მუშაობით განისაზღვრება. მისი ყოველი ლექსი ამ პერიოდში არის ექსპერიმენტი პოეტური ლექსიკისა და სინტაქსისის განახლებისაკენ მიმართული.

მაგრამ ამ პერიოდში ჩიქოვანის შემოქმედება მარტო ასეთი იმანენტურ ლიტერატურულ ექსპერიმენტებით არ განისაზღვრება. იგი მუშაობდა ახალ რევოლიუციონურ თემატიკაზედაც. ამავე პერიოდში იგი სწერდა ლექსებს, „რევოლიუციონური მინდვრების შესახებ", „სამოქალაქო ომებიდან", „ბრძოლა რომანტიზმთან", „წინა დღეები მოსკოვში", „ოქტომბრიდან ოცდა შვიდამდე" და სხვ. ამ ლექსების ავტორი შეგნებულად მიდის რევოლიუციონურ გარემოცვასთან და ახალ პოეტურ აპარატურაში ცდილობს მოაქციოს ახალი სოციალური თემატიკა, მაგრამ აქაც პოეტის ხედვა ვერაა გამახვილებული კლასობრივ-პარტიულ იდეურობით. რევოლიუციონური პროცესები და ძვრები აქ უფრო სანახაობითი კატეგორიაა და ესთეტიზაციაქმნილი მასალა. ამავე დროს ჩიქოვანის შემოქმედების მესამე ხაზი მიემართება რომანტიული ლირიზმის გზით „წვიმების ქვეშ", „გამოთხოვება", „დამნაშავე ის არ არის, არა", „მგზავრის სიმღერა", „სიმონ ჩიქოვანის ნახტომი" და სხვ.

ამრიგად ჩიქოვანის შემოქმედებითი პირველი პერიოდი არ წარმოადგენს რაიმე ორგანიულ მთლიანობას. მას არა აქვს გარკვეული მსოფლმხედველობითი მიმართება. ერთის მხრივ უსაგნო ფორმათა ძიება და ნოვატორული ესთეტიზმი, მეორეს მხრივ რომანტიული ლირიზმი და ინდივიდუალიზმი, და ამავე დროს რევოლიუციონური თემატიკა სამოქალაქო ომებისა და ახალი სოციალური თემატიკის ნიადაგზე აგებული ლექსალობა. ასეთი წინააღმდეგობების რკალში მუშავდება და ვითარდება ჩიქოვანის პოეზია. პოეტი შეგნებულად, თანმიმდევრად უკანდაუხევლი მუშაობით ანვითარებს თავის შემოქმედებაში რევოლიუციონურ ხაზს და მისი ყოველი ნაბიჯი არის ამ ხაზის განვითარება და გაღრმავება.

„არც სქელ საჯდომით, არც თამადობით
არ მიმიღია მგოსნობა მყისვე,
ხორკლიან სიტყვით, ღიმილით, ომით
დავეცი ბევრჯერ და ავდექ ისევ".

სწერს პოეტი და მართლაც ამ სტრიქონებში სწორადაა გამოხატული ბრძოლით და წინააღმდეგობებით აღნიშნული მისი შემოქმედებითი გზა. შემდეგ წლებში ჩიქოვანის პოეზია იმსჭვალება მეტი სოციალური შინაარსიანობით, იდეურობით. „ჩემი სიტყვა მემარცხენეობის დისპუტზე" უკვე ლიტერატურული ბუნებისა და ნოვატორობის სტადიიდან გადასვლაა გარკვეულ ლიტერატურულ კლასობრივ ბრძოლაზე. აქ პოეტი მძაფრად უპირისპირდება მემარჯვენე ლიტერატურულ ბანაკს და ამ ბრძოლას განიცდის არა როგორც პოეტურ ესთეტიურ ფარიკაობას, არამედ როგორც გარკვეულ იდეურ წინააღმდეგობას. წვრილ ბურჟუაზიული ბუნტარობის მდგომარეობიდან პოეტი გადადის ლიტერატურულ თანამგზავრობის სტადიაზე, რომელიც არა მარტო ძველი ლიტერატურული ტრადიციების დეფორმაციით უკავშირდება კულტურული რევოლიუციის ტენდენციებს, არამედ თანდათანობით იმსჭვალება პროლეტარიატის საბოლოო იდეალებით და მათი განხორციელებისაკენ მიმართული მებრძოლი დღევანდელობით. ასეთი გადამუშავების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ლექსი „კავკასიიდან ტაგანროგამდე".

„დიდო ქვეყანავ, სამშობლო ხარ ჩემი სამშობლოს,
დიდო მინდვრებო დამბრუნებო ქართა ბორბლების,
თითქოს შრომა მაქვს მე ოფლივით გამოშვებული
და მე შენთან ვარ ჩემი მთით და ჩემი ორბებით".

ეს სტრიქონები დაწერილი ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ, როცა ქართული ლიტერატურის არა პროლეტარული ბანაკი მძლავრათ იყო გაჟღენთილი ნაციონალისტური შხამით წარმოადგენდა გაბედულ, რევოლიუციონურ დეკლარაციას და მწერლის რევოლიუციონურ განვითარების საუკეთესო ნიმუშს. ეს ამგვარადაც იყო შეფასებული მაშინდელი პრესისა და საბჭოთა პარტიული საზოგადოებრივობის მიერ.

უფრო მკაფიოდ და მძაფრად ჩიქოვანმა თავისი გამიჯვნა არა პროლეტარული იდეოლოგიისაგან გამოხატა ლექსში „ემიგრაციის მწერლებს".

„თქვენ საქართველოს მე არ ვიცნობდი,
და არც ვეტრფოდი მას არასოდეს".
„და ყოველი დღე თქვენ დასასრულის
ხავსს ხელს კიდებს და შველას ვერ აგნებს
მე თქვენი არ ვარ...
აზრები ბნელი
გაჰყვეს ქარს,
ფრინველს,
გაშლილ იალქანებს".

აქ უკვე პოეტი საბოლოოდ უკავშირდება სოციალიზმის მშენებელ კლასს და მისი სახელით მეტყველებს.

„როგორც ბრმა ვერ გრძნობს საგნების მოცვას
ისე ჩვენ აზრებს თქვენ ვერ აზიდავთ,
თქვენ კვლავ კითხულობთ ნანგრევთა ლოცვანს
გადავარდნილნი დღევანდელ გზიდან".

მიმართავს პოეტი ემიგრაციის მწერლებს. ამ პერიოდში ჩიქოვანი იწყებს მუშაობას კონკრეტულ დღევანდელობის მასალებზე. ასეთია მისი ლექსები „სევანის ან გოგჩის ტბა", „მოგზაურობა სომხეთში", „ქალწული კიოსკი", „საოქტომბრო" და სხვ. მთელ რიგ ლექსებში პოეტი შლის ბრძოლას ძველ ყოფაცხოვრებითი ნაშთების წინააღმდეგ და მახვილი ირონიით თავს ესხმის ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნარჩენებს ასეთ ციკლს მიეკუთვნება მისი ლექსები „ბიუროკრატის შესახებ", „ახალი საშიშროება", „მუშათა კლუბი საფრთხეშია", „ჩადრი" და სხვ. ამ ახალ კონკრეტულ რევოლიუციონურ მასალებზე მუშაობა პოეტს ეხმარება ძველი განწყობილებებიდან თავდაღწევისა და ლიტერატურულ საქმიანობის სოციალური ფუნქციონალობით განსაზღვრულობის საქმეში. ამგვარად მომზადებული, ლიტერატურული თანამგზავრობის პოზიციებზე დამკვიდრებული, იგი ადის შემოქმედების ახალ ეტაპზე, რომელიც იხსნება პოემით „ბედი რესპუბლიკა". ეს ნამუშევარი უკვე სრულიად ახალი ეტაპია ჩიქოვანის შემოქმედებაში. ცხადია ეს ახალი საფეხური გამომდინარეობს მისი წინაპერიოდის შემოქმედების ჯანსაღი ხაზის დიალექტიური განვითარებიდან. ამ განვითარების ხარისხი ნათელი გახდება თუ დასახელებულ პოემას შევადარებთ ჩიქოვანის პირველ პოემასთან „ფიქრი მტკვრის პირას", რომლის მთელი კონცეპცია მოცემული იყო სტრიქონებში.

„პოეტებში უკანასკნელი მეოცნებე და უბრალო
არა ლეგალურად ვინახავ მთვარეს
მთვარეს ავადმყოფს ნაცრის ფიფქიანს".

„ბედი რესპუბლიკის" ავტორი უკვე საბოლოოდ დაშორებულია „ავადმყოფი და ნაცრის ფიფქიანი მთვარისაგან" თუ ამ უკანასკნელს წარმოვიდგენთ როგორც ძველი, არა პროლეტარული განწყობილებების სიმბოლოს.

„ბედი რესპუბლიკა" ფართო პოეტური ტილოა, რთული კონსტრუქციის ნაწარმოები, აგებული საქართველოს გასაბჭოების მასალებზე. პროლეტარული რევოლიუციის მძაფრი დღეები მოცემულია ამ პოემაში ერთგვარი სიუჟეტური პრაგმატულობით და არა ნეიტრალურ ამსახველობითი მეთოდის ნიადაგზე, არამედ უკვე გარკვეული კლასობრივი მსოფლმხედველობით. პოეტის კლასობრივი ტენდენციურობა გამოსჩანს პოემის ყოველ დეტალში.

„ოხ, რესპუბლიკავ ჩემო კარგო რა გეშველება,
ძირს დაეცი და, ალბად ბედი არ გიწერია".

ასეთი მძაფრი ირონიით უდგება პოეტი მენშევიკური რესპუბლიკის დაცემის ფაქტს. თვით პოემის სახელწოდება, რომელიც ბარათაშვილის „ბედი ქართლისა"-ს უკუფენილი ვარიაციას წარმოადგენს შეიცავს მენშევიკური „რესპუბლიკის" დახასიათებას როგორც ყოველგვარ სოციალ-ეკონომიურ კანონზომიერებიდან ამოვარდნილი ბუტაფორიისას. ამიტომაა ნახმარი აქ ბედის ცნება. პოემაში მოცემულია ამ დიდ სოციალურ გარდატეხასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი განწყობილების დიფერენციალური გამოხატულება. ერთის მხრივ სასიკვდილოთ განწირული კლასის დაბნეულობა, ქაოტიურობა:

„ასე ამოსკდა მერყევთათვის დიდი მეწყერი
და სიმაღლენი ფირფიტების დასცა ნალებზე
წარსულს ჩაბარდა სუსტი ძალა დავიწყებული".

მეორეს მხრივ კი გამარჯვებული მუშათა კლასის პოლიტიკური განმტკიცების პირველი ეტაპი გმოხატული ასეთ რიტმიულ, ორგანიზაციულ წყობაში.

რევკომია ქალაქში და
ცხენენჯებით მოდის".

პოემის სიტყვიერი მასალის ორგანიზაცია პერსონაჟის შესრულება და მათი მეტყველება მთლიანად აგებულია დაპირისპირებულ ძალთა კლასობრივი პროფილის მოხაზვის პრინციპზე. მაგალითად ორი შეკამათებული ორატორის მეტყველებაში არა მარტო მათი სიტყვების შინაარსით, არამედ ლექსის სტრუქტურის განსხვავებულობითაც მიღწეულია დაპირისპირებულ სოციალურ ფენათა კოლიზიის გამოხატვა. მთლიანად „ბედი რესპუბლიკა" თავისი კომპოზიციით ღრმა და რთული ნამუშევარია. როგორც იდეურ-თემატიური თვალსაზრისით, ისე მასალის ორგანიზაციის და მხატვრულ გამოხატულებათა საშუალებების სიძლიერით ამ პოემას ავტორი უკვე აყავს იმ დონემდე, საიდანაც მას მართლაც შეუძლია სთქვას „ძველი „მე" სდგას და დარცხვენით მიცქერს".

ამის შემდეგ ჩიქოვანმა გამოაქვეყნა მთელი რიგი ლექსებისა წიგნიდან „გმირი და წინ", „უშგულის კომკავშირი", შემოდგომება ხახმატში", „ალაზნის ველი და ალაზნის ბამბა" და სხვ. ამ ლექსებით ჩიქოვანი უკვე მოკავშირული პოეზიის წარმომადგენელია, რომელიც წინა პერიოდში წარმოებული ექსპერიმენტალური მუშაობის შედეგებს, ფუნქციონალური მიზანშეწონილობით იყენებს ახალ მასალებზე. ამ უკანასკნელ ნამუშევრებში არა მარტო საბოლოოთ დაშორდა არა პროლეტარულ განწყობილებებსა და იდეებს, არა მარტო უკანდაუბრუნებლად დაუკავშირდა მუშათა კლასის მებრძოლ პრაქტიკას, არამედ შევიდა კიდეც პროლეტარული შემოქმედებითი მეთოდისათვის ბრძოლის სტადიაში. დასახელებულ ლექსებში უკვე არის ცდა მოვლენათა დიალექტიური გამოხატულებისა. მუშათა კლასის მებრძოლი პრაქტიკის ცალკეულ გამოხატულებათა ისეთ მხატვრულ ფორმაში მოქცევისა, რომლითაც მიღწეული იქნება ორგანიული მთლიანობა ახალ იდეური შინაარსობრივ ელემენტსა და მხატვრული გამოხატულების საშუალებათა შორის.

ყოველივე ეს ცხადია არ ნიშნავს იმას, თითქო ჩიქოვანის მიერ უკვე დაძლეულია წვრილ-ბურჟუაზიულ პოეტური ტრადიციების ყველა ნაშთები და გავლენები, თითქო ჩიქოვანი უკვე წარმოადგენდეს პროლეტარიატის კლასობრივი პოეზიის დასრულებულ წარმომადგენელს, სავსებით შეიარაღებულს მუშათა კლასის მსოფლმხედველობით. რა თქმა უნდა ეს ჯერ კიდევ მომავლის ამოცანად რჩება ჩიქოვანისათვის, რომლის მიღწევაც შესაძლებელი გახდება მხოლოდ შემდგომი პრინციპიალური თანმიმდევარი მუშაობის ნიადაგზე. ჩიქოვანის

სიმონ ჩიქოვანი

დღევანდელი შემოქმედება ასულია პროლეტარიატის იდეური და შემოქმედებითი მოკავშირეობის სიმაღლემდე და შეიცავს პოტენციალურ შესაძლებლობას მუშათა კლასის იდეურ პოზიციებთან ორგანიულად დაახლოვებისა და დაკავშირების. ამისთვის საჭიროა ჩიქოვანი თავის პოეტურ შემოქმედებაში კიდევ უფრო მეტად ამახვილებდეს იდეურ მომენტს და პარტიულ ტენდენციურობას. ეს კი ჯერ კიდევ ჩიქოვანის პოეზიაში ვერ არის წარმოდგენილი ისეთი სიძლიერით, როგორც ეს მოეთხოვება სოციალიზმში შემავალი კლასის ლიტერატურას. ჩიქოვანის მუშაობაში ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ არის მიღწეული მასალობრივი კონკრეტულობა. ჩვენი მშენებლობითი დღევანდლობის „წვრილმანი", რომლებშიაც პოეტი უნდა ხედავდეს „მსოფ. რევოლიუციას" ჯერ კიდევ ვერ გამხდარა ჩიქოვანის შემოქმედების მთავარ თემად. ამიტომ იდეური აქტუალობის პირობებშიაც ჩიქოვანის პოეზია ვერ ხასიათდებოდა საჭირო სადღეისო თემატიური კონკრეტულობით.

ჩიქოვანის პოეტური პრაქტიკა ჯერ კიდევ ვერ არის გამიზნული ფართო მასიური მკითხველისათვის. ლაბორატორიულ ექსპერიმენტალურ მუშაობის ეტაპიდან გამომდინარე ერთგვარი სიმძიმე, აღნაგობის სირთულე, ხელს უშლის მისი ლექსების მასიურ მოხმარების საგნად ქცევას. ჩიქოვანის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მხატვრული ოსტატობის ხარისხის შეუმცირებლად, ფუნქციონალური ნოვატორობის შემდეგი გაღრმავებით და გაგრძელებით ახალ სადღეისო კონკრეტ მასალებზე მუშაობით თავისი პოეზია სოციალიზმის მშენებელი კლასის ფართო ფენებისათვის მისაწვდომი, გასაგები და მისაღები გახადოს. ეს რა თქმა უნდა რთული ამოცანაა, მაგრამ ჩიქოვანის შემოქმედებითი სპეციფიკა ყოველთვის მდგომარეობდა სიძნელეებთან შებრძოლებაში და ეს სიძნელეც მან უნდა დასძლიოს, რადგან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ჩიქოვანის ახალ შემოქმედებითი ეტაპზე ასვლა—მოკავშირეობიდან პროლეტარული ლიტერატურისაკენ განვითარება.

ბეს. ჟღენტი

ალ. ადამია



აჩიგვარა

I

ფეხქვეშ ეგებოდათ
ბარდი,
დურღენი,
ტანმორჩილი ბუჩქები,
ესობოდათ ეკალი და სდიოდათ სისხლი.

თავიდანვე აქა-იქ მოიშიშვლეს ადგილი დაქანებულ ფერდობზე—გამარჯვების პირველი ნიშანი იყო ეს.

იყო სიყვარული და სიძულვილი შრომის, გამარჯვების ხარბი სურვილი და შიშველი ხელების ჭიდილი გაუვალ ტყით დაფარულ მიდამოსთან, სადაც სიბერის გამო კერიასთან სამუდამოდ მიმაგრებულ ბებრების თქმით—სხედან და ჯირითობენ ოჩოკოჩოები, შუაღამისას იკივლებს ბუ და სოფელში ვინმე მოკვდება უთუოდ, ცას ვარსკვლავი მოსწყდება და ტყის შუაგული ჩაიხორგება.

და მაშინ, როცა წვიმანარევი დღეები უმაღლეს წერტილს მიაღწევენ, ადიდდება ტყე-ტყე მიმდინარე ჩანჩქერები და მთელი მიდამო წაილეკება და აქედან ლოღიკურად ასკვნიდენ აჩიგვარას დაპყრობის შეუძლებლობას.

ეს იყო არც ისე შორს—1930 წლამდე.

მართლაც და ისინი მოვიდენ პირველად სულ ხუთმეტიოდე,—მოვიდენ მტკიცე რწმენით და გვიმრასთან ერთად ანადგურებდენ ლეგენდებს აჩიგვარაზე, რომელიც სისწრაფით ვრცელდებოდა სოფელ და სოფელ.

აჩიგვარა მხოლოდ „აჩუ“-ს მოსაშენებლად ვარგა—სთქვა ასი წლის მოხუცმა, მაშასადამე სოფელში ვრცელდება და კანონდება ეს აზრი.

ისინი კი, რომელთაც პირველად დაჰკრეს ბარი ამ მიწას—ეცნობოდენ და ამტკიცებდენ, რომ აქ ახლო ხანში მზის სხივებივით გამრავლდება ჩაის ბუჩქები—რადგან ასე სთქვა ქალაქიდან ახლად ჩამოსულ კომკავშირელმა აგრონომმა.

შემდეგ:

აჩიგვარას მოაწყდება გლეხები მახლობელ სოფლ. და დაბებიდან, ზევით აზორცვილ გორაზე აშენდება სახლები მუშებისათვის, პირველად დაიდგმება მცირეძალოვანი ელსადგური და გაჩენიდან დღემდე წყვდიადით მოცული მიდამო დაისერება ელნათურებით

გავმრავლდებით დღე და დღე.
აჩიგვარა გაიზრდება.
საჭიროა პირველი მაგალითი
სათანჯო,
თაგილონი,
ქუბურხინჯი,
„სადგურები“ ინგირიდან—გალაშდე, შემდეგ აჩიგვარა.

სადგურები, რომელთა სახელწოდება ჩამონათალ ხეზეა მინაწერი,
მატარებელი მდინარე ენგურზე, ახლად აგებულ ხიდზე გაივლის.
შემოვა მეჩონგურე და ხრინწიანი ხმით დაამღერებს:

„ჩქინი რინი დო
ჩქინი შარა—
ახალი გალი დო
აჩიგვარა...*).

გალში ყოველდღე მოდის მატარებელი, ეტლებიც გამრავლდენ პროპორციულად.

ჩამოხვალ თუ არა სადგურზე,—მეეტლების ძახილში ყველაზე უფრო გამოირჩევ: აჩიგვარა—იმთავითვე შეამჩნევ ამას.

მეეტლეებს გონიათ:

ტფილისიდან ჩამოსული ყოველი კაცი აჩიგვარას სანახავადაა მოსული. ამიტომ დაილაპარაკებთ თუ არა ქართულად, ხელადვე მეეტლე გაჩნდება თქვენთან და მოკვეთილად გეტყვით:

ხუთი მანეთი, ნაკლები არ იქნება;—და თუ თქვენ უარი განაცხადეთ აჩიგვარაში წასვლაზე, მეეტლე დაასკვნის—ვიღაც ოხერი და მუდრეგია, არაფერი გაეგება.

მართლაც და უმჯობესია გალში არ შეჩერდეთ.

რადგან:

თუ სადილის ჭამას მოისურვებთ, სასადილოში იმდენი დაფერდილი, ჩაღრმავებული ბდღლებია, რომ იშვიათად გადარჩები მარცხს, თუ წვიმიანი დღეა მუხლამდე ჩაეფლობი ტალახში და თუ ღამის გათევა მოგიხდა „სასტუმროს“ გამგე კუზმა რტიშევი ღამით თორმეტ საათიდან მოსულ სტუმრებს სროლას აუტეხს და შიშის გამო არ დაგეძინებათ. ამასთანავე „სასტუმროში“ ზამთარ და ზაფხულ ცეცხლი არ ანთია და მობინადრეზე ფიზიკის კანონი ვრცელდება მაქსიმალურად.

ისტორიის დასაწყისი

გალიდან ცამეტი კილომეტრია აჩიგვარამდე. მეეტლეების მტკიცების წინააღმდეგ გზა კარგია.

მაქსიმუმი საათი დაგჭირდებათ თუ ეტლით იმგზავრებთ.

რომანს ან ჩვეულებრივ მოთხრობას რომ ვწერდე—ჩემთვის სავალდებულო არ იქნება დეტალების ზუსტად ხსენება, მეურნეობის ორგანიზატორების ნამდვილი სახელი, გვარი, დროის დასახელება სწორად და კიდევ ბევრი რამ, მოგიყვებოდით ამბავს საერთოდ, ინსტიქტებს დავაჯახებდი ერთმანეთს, ადგილ და ადგილ ჩავტეხდი ხიდს, მეეტლეების ისტორიას გავაგრძელებდი, გავაზვიადებდი ამბავს გაბრიელ კონჯარიას და დაშა ბოგდანოვას სიყვარულის შესახებ, რომელთაც მხოლოდ ოცი დღე იცხოვრეს ერთად შეუღლების შემდეგ. რომანში კარგი ამინდი დადგებოდა, შეყვარებულები ერთმანეთს იხილავდენ უთუოდ ღამით, როცა ცაზე მთვარე ჰკიდია და არ გაშორდებოდენ მანამდე კიდრე გიორგასლანი ხმლით არ გადასწევდა მთვარეს და მიდამოს წყვდიადი არ მოიცავდა.

ყოველივე ეს ადვილია, ფანტაზიის ამბავია.

აჩიგვარას ახალგაზრდებმა და დირექტორმა მთხოვა არ დავამახინჯო მათი მუშაობა.

მე ვასრულებ მათ თხოვნას.

—:—

ნიკო ლასუსბაია აჩიგვარას სასადილოს პატრონი.

სამურზაყანოს ყოველმა გლეხმა იცის მისი გვარი და სახელი, ოცდა ათი მუშა და უჯრედი კომკავშირი—აჩიგვარას პირველი მუშები დაიმორჩილა მან.

სასადილო ღია იყო და მუშაობდა დღე-ღამ.

მოთხოვნილებისთანავე მზად იყო საჭმელები:

აზიური, ევროპიული,
ზოგჯერ ქალებიც.

წვიმიან დღეებს ახმობდენ ლოთობაში.

და როცა ღვინის სმისაგან გონება დაკარგული ივანოვი, მიხაილოვიჩი, სერგინი და ლაზარ ერთმანეთს სცემდენ—ლასუსბაია აცხადებდა:

„ეს აზიაში ევროპიული წესებით ცხოვრების ბრალია. ჩვენი ხალხი სუსტი ნებისყოფისაა. ევროპიული ღვინო ძვალრბილში უჯდება კაცს“.

მრავლდება მუშების რიცხვი.

ლასუსბაიას ეზრდებოდა შემოსავალი.

ეს იყო 1930 წლის დასაწყისში:

ჩაქვიდან ჩამოსულ მუშამ (გვარი არ ახსოვთ) ერთ თვეს სამას მანეთამდე დააგროვა და ლასუსბაიას რესტორანში ერთ დღეს დახარჯა ის.

და ბრაზმორეულმა ლექსი შეთხზა:

„ტაში, ტაში,
ბარიშნები ჩამოსულა ჩაი გრუზიაში,
მე რომ ჯიბეში ფული მაქვს
ნიკოს რესტორანში...
„ნიკო ჯგირი ყოფე მარა
ლავრენტი ყოფე კვარჩხი.
ივა სენეფეს ქორჩხუნდუდა
ჩანთას ტიტუდ ნარჩხი,
ლავრენტ თინა მა ვაფშუნო
ართიშახ ოქკომალი ვაფჩი“.

უკანასკნელი ექვსი სტრიქონი მეგრულ გლეხებს ეკუთვნის. გლეხი ამბობს:

მახსოვს ერთხელ სადილი არ მაჭამე, რადგან ფული არ მქონდა და გლეხებმა სთქვეს:

არ გვინდა სასადილო, რომელიც თვეობით ჩვენს ნაშრომს წუთში ნთქავს.

სამართლიანი იყო მათი მოთხოვნა.

შემდეგ:

მუშათა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება:

„აეკრძალოს ნიკო ლასუსბაიას სადილის დამზადება, რადგან დიდი ფასებია. მარაგი დასალევი ჩამოერთვას და გაიგზავნოს უკან, გადიდდეს ჩვენი სასადილო და მუშებმა ისადილონ იქ. ნიკოს საქმე გადაეცეს მილიციაში“. ამით დაამთავრა მუშათა კომიტეტმა მსჯელობა ლასუსბაიას შესახებ.

მუშათა კომიტეტის მიერ დადგენილების გამოტანის შემდეგ ნიკო არავის უნახავს აჩიგვარაში. ამჟამად დრო და დრო მოიგონებენ მას და ვინ მოსთვლის რამდენ გრნებას და ვარამს წარმოსთქვამენ მეტ წილად აჩიგვარას პირველი მუშები.

პირველი უჯრედის დღის წესრიგი

კომკავშირის უჯრედის დაარსება პირველ ტრაქტორს უკავშირდება.

მანამდე:

გლეხებმა იცოდენ მიწის შინაარსი, მაგრამ უძნელდებოდათ მისი დამორჩილება. თვალმოსავლელ ველმიდამოს დამუშავების სურვილი ეზრდებოდათ თანდათან, იმდროინდელი უფროსი მუშები: გოგოხია, კობერიძე, კორსანტია და სხვები არ ემორჩილებოდენ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებულ კანონებს. მაგრამ გეგმა დაუძლეველი რჩებოდათ. ამის შესახებ ამბობენ თვითონ ისინი, მოყვებიან თუ როგორ შემოაკვდათ 22 წლის ცხენი, რომელსაც გამხმარი პური გაეჩხირა ყელში და უდროოდ ტრაქტორის უნახავად გარდაიცვალა.

ტრაქტორისტებმა ახალი სამოქმედო გეგმა დასახეს (არ ვეხები მუშების სიყვარულს ტრაქტორისადმი). უმთავრესი: ისინი არიან ორგანიზატორები კომკავშირის უჯრედის, რომლის წევრთა რაოდენობა ოცდაათ ახალგაზრდას შეადგენდა. უჯრედმა მეურნეობის საჭირბოროტო საკითხების გადაჭრის დროს უნდა ითამაშოს წამყვანი როლი. ასეთი იყო მათი საბრძოლო ამოცანა.

უჯრედის მდივანს საკუთარი არც ოთახი ქონდა და არც მაგიდა. კრებებს უმთავრესად წვიმიან დღეებში იწვევდენ, როცა სამუშაოდ გასვლა არ შეიძლებოდა.

უჯრედის მდივანს ოქმები ჯიბით დაჰქონდა, რის გამოც, სამწუხაროდ, ოქმების საკმაო რაოდენობა დაკარგულია. მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ ბიჭები უჯრედის მდივანს ქაღალდს პარავდენ თუთუნის შესახვევად.

მუშაობის პირველ ხანებში ტრაქტორისტების იმედი არ გამართლდა.

საღამოს, მუშაობის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა გოგო-ბიჭები იკრიბებოდენ ამორჩეულ ხის ძირას და ნაცვლად კრების ჩატარებისა და საქმიანი მსჯელობისა განუწყვეტლივ ისმოდა „ოვა ჩელასი ჩერჩელა“ და „ვასარადო ჩაგუნა“-ს სიმღერა და განუწყვეტელი ცეკვით ტიტვლდებოდა მინდორი.

მშვიდი, უწყინარი იყო ასეთი საღამოები პირველად.

ბიჭებმა დაიმარტოხელეს გოგონები.

შალვა აბშილავა და კლემენტი ფანცულაია ერთმანეთს ექიშპებიან, რამდენჯერმე მოსტაცეს ერთმანეთს ამორჩეული ქალიშვილები.

სოფლად გაიზარდა ჭორები.

უჯრედი საგონებელში ჩავარდა, ეძებდა გამოსავალს, რომ ქალიშვილები არ გაქცეულიყვნენ მეურნეობიდან.

უჯრედის კრებები გახშირდა, დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი დგას: **„დამოკიდებულება ქალიშვილებთან და სიყვარულის პრობლემა“.**

უჯრედი ორად გაიყო. ერთნი ამტკიცებდნენ რომ ქალიშვილებთან ასეთი დამოკიდებულება ჩვეულებრივი და აუცილებელიც არის.

უჯრედის მდივანი და უჯრედის ბიუროს წევრების უმრავლესობა ეწინააღმდეგებოდა ამ დებულებას.

სამი კრება მოანდომეს ამ საკითხს და უჯრედის კრებამ დაადგინა:

„ვინაიდან სიყვარულის პრობლემა გადაუჭრელია, უჯრედი თავს იკავებს ამ საკითხში და ჯერჯერობით ადგენს შემდეგს:

1. აეკრძალოს შალვა აბშილავას და კლიმენტი ფანცულაიას ერთმანეთის გალახვა ქალების საკითხში და უფრო წესიერად მოიქცნენ.
2. სოფლის სკოლის მასწავლებელმა მალე ჩვენს უჯრედში გააკეთოს მოხსენება სიყვარულზე.
3. საერთოდ ამხანაგები მოიქცენ მეტი თავდაჭერით და ქალიშვილებს შეუწყოთ ხელი იმუშაონ მეურნეობაში“.

ასეთი იყო პირველი უჯრედის დღის წესრიგი.

უჯრედი ჩაერია მეურნეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

ტრაქტორისტებმა მძლავრი იერიში მიიტანეს და დღედადღე იცვლებოდა უჯრედის მუშაობის გეგმა. მინდვრად დროზე გასვლა და მანქანების სრული გამოყენება წამოიჭრა წინა პლანზე.

ამჟამად კომკავშირელებს სასაცილოდაც არ ყოფნით პირველი უჯრედის დღის წესრიგი, რადგან უჯრედი და მეურნეობაც არსებითაც სახეცვლილია.

---

*) ჩვენი ყოფა და ჩვენი გზა.
ახალი გალი და აჩიგვარა.

ლ. ასათიანი

ირ. აბაშიძე—„რამდენიმე ლექსი“

ირაკლი აბაშიძე ეკუთვნის პროლეტარულ კულტურის ყველაზე უმცროსს თაობას, იმ უკანასკნელ „გაწვევას“, რომელიც თავის პოეტური პრაქტიკით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მკითხველთა შორის.

სარეცენზიო წიგნი შეიცავს ახალგაზრდა ავტორის მართლაც რამდენიმე ლექსს; როგორც სჩანს, ეს არის პოეტის რჩეული ნაწარმოებნი, ამ კრებულში განსაკუთრებულად ხელსახები ხდება ზოგიერთი ის ნაკლი, რომელიც ახასიათებს ავტორს, როგორც „პოლიტიკურ პოეტს“ და როგორც სიტყვის ოსტატს.

ირ. აბაშიძე ვერ ასცდა დამწყებ პოეტთა საერთო საშიშროებას. კრებულში მოთავსებულ ბევრს ლექსს, მიუხედავად მისი შედარებით თემატიური აქტუალობისა, ეტყობა იერი სქემატიზმის, ემპირიზმის და ზოგადი მიდგომის ჩვენი დროის მნიშვნელოვან მოვლენებთან. ასეთი არის მაგალითად, კრებულის პირველი ლექსი „ტემპები“. პოეტს ამ ლექსში სათანადო მხატვრული სახეებით არა აქვს გახსნილი აზრი და მნიშვნელობა დამკვრელი ტემპების, როგორც სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში.

მეტად ლირიკული განწყობილებით და რომანტიულ - იმპრესიონისტული მოტივებით არის გაკეთებული ლექსი—„პირველი საბჭოთა თოვლი“. ეს გარემოება ავტორს ვერ აძლევს საშუალებას მოგვცეს ისტორიული მნიშვნელობა თებერვლის გადატრიალებისა ჩვენს ქვეყანაში. ასეთივე იმპრესიონისტული რომანტიკით არის შესრულებული „გამგზავრება ლამისყანაში“.

რეკონსტრუქციის პერიოდის აქტუალური და საჭირბოროტო პრობლემები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ პოულობენ გამოხმაურებას პოეტის შემოქმედებაში. იგი საბოლოოდ და სავსებით ვერ არის გაცილებული პოეტური „ამღერების“ სტადიას:

„ჩემი სიმღერის
საგანი ტკბილი
ახალი ქვეყნის ცხოვრება დარჩა
ვუმღეროთ
ბრძოლის ქუხილს და კივილს
ვუმღეროთ
ქვეყნის მშენებელ ლაშქარს“...

ავტორმა რაც შეიძლება ჩქარა უნდა მიატოვოს სიმღერა განყენებულ, აბსტრაქტულ „ახალი ქვეყნის ცხოვრებაზე“ და „ბრძოლის ქუხილისა და კივილზე“, რაც უსათუოდ ეტყობა ზოგიერთ მის ლექსს. აბაშიძის ლექსების უმეტესობა კონკრეტულ მასალაზეა აშენებული. ავტორმა კი უფრო უნდა გაამახვილოს თავისი შემოქმედებითი ყურადღება კონკრეტულ პრობლემებზე, ჩასწვდეს მოვლენების სიღრმეს და გახადოს იგი მხატვრულ მუშაობის მთავარ ობიექტად.

ყურადღება უნდა მიაპყროს ახალგაზრდა პოეტმა თავის „საწარმოო იარაღს“—სიტყვიერ მასალას, ლექსიკას, სიტყვობრივ მასალის ორგანიზაციას. ამ მხრივ ავტორს საკმაო მუშაობა ემჩნევა, მან მომავალშიაც უნდა განაგრძოს დიდი მუშაობა ამ ხაზით. ჯერჯერობით სარეცენზიო კრებულში აღსანიშნავია ზოგიერთი „უხერხული“ სტრიქონი,—მაგალ.:

„რომ რესპუბლიკა მშენებელთაგან
უარყოფილთ
მრავალრიცხოვან ამბოხების ხარჯზე
დაეცა“.
...„თქვენს ქარხანასთან მინდა
გაცნობა“...
„ვინმე შემოვა დაჩოქილი ქებზე
მუხლებით“—

თითქოს შესაძლებელი იყოს კიდევ სხვა რამით დაჩოქება...

ირ. აბაშიძის უეჭველად დადებით ღირსებას შეადგენს მისი ლექსების თემატიური მრავალნაირობა. ეს სჩანს თუნდაც ლექსების სათაურებიდან: „ტემპები“, „საოქტომბრო პატაკი“, „საუბარი რელიგიურ ნაშთებზე“ და სხვ. სასურველია, რომ პოეტის თემატიკის რკალი კიდევ უფრო გაფართოვდეს, გამრავალფეროვანდეს და შეიქმნეს შემცველი უფრო აქტუალური, უფრო პრობლემური, უფრო კონკრეტული თემებისა.

სარეცენზიო კრებულის ბევრი კარგი ლექსიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ლექსი „ჩემს ობლიგაციებს“. ეს არის მართლაც საინტერესო ნაწარმოები თემატიური მასალის შინაგანი არსის გახსნით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს:

„[illegible] შენს ფურცლებს
[illegible] მივაგებ
[illegible] ჩაფიქრებით ცვერდებს ვუცქერი;
[illegible] მშენებლობის შენ ხარ მოამბე
[illegible] გიგანტური გეგმის ფურცელი.
გამეხარდება წელთა გეგმაში
რომ მეც ერთგულად ჩაბმას
რომ ერთდროული ჩემი ხელფასიც
ტრაქტორებისთვის სადღაც ტრიალებს.
...„მიტომ არ გახსოვს
ჩემგან არც ერთხელ
რომ საყვედურის ლაფში ჩამეფლა.
მე ჩემს ქვეყანას
შრომა ვასესხე
ჩემივ ცხოვრების ასაყვავებლად“...

—:—

აქ რამდენიმე სტრიქონში ლაპიდარულად მოცემულია დახასიათება ობლიგაციების აზრის და მნიშვნელობისა ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის, ამასთანავე ერთად გამოკვეთილია ავტორის დამოკიდებულება მოვლენებისადმი. მოხერხებული დაპირისპირებით და მარჯვე შედარებით ავტორი იძლევა აგრეთვე ობივატელის დამოკიდებულებას და განწყობილებას:



„ბევრმა არ იცის—
შენი ფიქრები
როგორ გახდება ჩვენთვის მოკეთედ,
და გვაყვედრიან ეგ უმეცრები
რომ ხელფასიდან წილი მოჰკვეთეს;
მათ არ იციან, —
თუნდაც ხუთწლედის
გამარჯვებისთვის ეხლა რად წვალობ,
მათ შეუძლიანთ—
შენი ფურცლები
სინდისივით ფულში გაცვალონ“...

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკრეტულ თემაზე არ მოიპოვება უკეთესად დაწერილი ლექსი მთელ ქართულ პოეზიაში. სასურველია, რომ ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტმა სწორედ ამ გზით განაგრძოს თავისი შემდეგი მუშაობა.

„რამდენიმე ლექსი“ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდა ავტორი, რომელსაც ემჩნევა საკმაო პოეტური შესაძლებლობანი და აქვს სწორი პოლიტიკური ალღო, შესძლებს მომავალ წიგნში გაიჩვენოს თავისი შემოქმედების საგრძნობი ზრდა და განვითარება.

საქართველოს მინერალური რესურსების გამოფენა

16 მარტს საქ. მუზეუმის შენობაში გაიხსნა საქართველოს მინერალურ რესურსების გამოფენა.

გამოფენა გახსნა მუზეუმის დირექტორმა ამხ. **გ. ბიბინეიშვილმა** რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან ერთად პარტია და ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევენ კულტურული რევოლიუციის ფრონტს და მის ყველა უბნებს გარკვეულ ამოცანებს აკისრებენ. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ისეთ დარგსაც, როგორიც არის სამუზეუმო მშენებლობა. ჩვენი მუზეუმები არის მნიშვნელოვანი ფაქტორი კულტურულ და იდეოლოგიურ ფრონტზე და უდიდეს დახმარებას უნდა უწევდენ ჩვენს სოციალისტურ ეკონომიკას. ამ თვალსაზრისით არის მოწყობილი „საქართველოს მინერალური რესურსების“ გამოფენაც.

შემდეგ გამოფენაზე წარმოდგენილ მინერალების შესახებ მოხსენება გააკეთა პროფ. **თვალჭრელიძემ.**

გამოფენის მიზანია გააცნოს ფართო მასებს ის მინერალური ნედლეული, რომელსაც ხმარობენ მრეწველობის სხვადასხვა დარგებში.

პირველ ოთახში თავმოყრილია დედამიწის ისტორიის დამახასიათებელი მინერალები — ის დოკუმენტები, რომელთა მიხედვით სწავლულ გეოლოგის გამოცდილი თვალი არკვევს მიწის ფენების ჰასაკს და აღადგენს უძვლესი კონტინენტების და ზღვების რთულ სურათს, მათ თანმიყოლებით ცვალებადობას, ბრძოლას ხმელეთსა და ოკეანეს შორის და ცხოველთა და მცენარეთა თანდათანობით ჩამოყალიბებას.

გაქვავებული ხეების ტანი, რომლებითაც დაფარული იყო დედამიწა 70 მილიონი წლის წინად, საშუალებას იძლევიან აღვადგინოთ უძველეს მცენარეულობათა სურათი.



ამხ. სტალინის ბიუსტი
ქანდაკება ივ. პატარიძის

დიდ დარბაზში გამოფენილია მინერალური ნედლეული. მინერალები დალაგებულია ადამიანის მიერ მათი ტეხნიკური დაუფლების ისტორიული პროცესის მიხედვით.

ქვიდან დამზადებულ საწარმოო იარაღების გვერდით გამოფენილია სპილენძის და ბრინჯაოს საუკუნის ნივთები რკინა, რომელმაც შესცვალა სპილენძი და შექმნა ბაზა ადამიანის ტეხნიკური სიძლიერისათვის. წარმოდგენილია ჩათახის რკინის მადნით, რომლის დამუშავებაც ხდებოდა ჯერ კიდევ წინა ისტორიულ ხანაში.

სურმას და ტყვიას, რომლებიც იხმარება პოლიგრაფიულ მრეწველობაში და ემსახურებიან განათლების გავრცელების საქმეს, სცვლიან მოლიბდენის ნიმუშები ზემორაჭიდან (მოლიბდენს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაღალხარისხოვან ფოლადის დამზადების საქმეში). შემდეგ გამოფენილია მარგანეცი და ქვანახშირი.

ვულკანიური ჯიშების კრისტალიზაციის რთული პროცესები წარმოდგენილია ცეოლიტის და ბარიტის ლამაზი კრისტალებით.

აქვეა კვარცის ჯგუფის მინერალები — მთის ბროლი, ამეტისტი და ხალცედონი. მათ გვერდით კი კაჟი, რომლისაგანაც ამზადებდა პირველყოფილი ადამიანი თავის საშრომო იარაღებს.

გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე დიატომიტი, გუმბრინი, დარიშხანი და სხვ. ყურადღებას იპყრობს ფერადი და თეთრი მარმარილო, რომლისაგანაც ახალგაზრდა მოქანდაკის პატარიძის მიერ გამოკვეთილია ამხ. სტალინის ბიუსტი.

გამოფენა წარმოადგენს პირველ ნაბიჯს იმ მიზნის განხორციელების გზაზე, რომელიც დაისახა მუზეუმმა და გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტმა ფართო მასებში ტეხნიკური ცოდნის გავრცელების დარგში.

ქუთაისის თეატრი

ქუთაისის თეატრი ამ ჟამად ფრიად საინტერესო შემოქმედებითი მუშაობას აწარმოებს, ის ცდილობს სოციალიზმის მშენებლობის უდიდესად საპასუხისმგებლო დაკვეთების შესრულებას. თეატრის გარშემო შემოკრებილია უმთავრესად პროლეტარული ახალგაზრდობა, რომელიც ცდილობს კომუნისტური იდეები გადმოსცეს ყოველ გვარი თეატრალური შტამპების გარეშე. ამ მხრივ საინტერესოა ამ თეატრის ყოველი ახალი ნაბიჯი. როგორც საერთოდ, ისე კერძოდ, ამ თეატრის მუშაობაზეც თავის დაღს აჩნევს ის გარემოება, რომ პროლეტარული დრამატურგიის თემატიკა ვერ სდგას ჩვენი თანამედროვეობის დონეზე. პროლეტარული დრამატურგია ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იძლევა ჩვენი სინამდვილის რთულ დიალექტიკას, ქუთაისის თეატრი ცდილობს დაეყრდნოს უმთავრესად პროლეტარული მწერლების პიესებზე. ამ მიზნით მან მისცა დაკვეთები მთელ რიგ დრამატურგებს. სამწუხაროდ ეს დაკვეთები ჯერ კიდევ არ არის შესრულებული.

თეატრის გულწრფელი სურვილი ფორმალიზმთან და თეატრალურ სქემატიზმთან ბრძოლისა — ნათლად მოსჩანს მთელი მისი შემოქმედებითი მუშაობიდან, ამ მხრივ აღსანიშნავია ბელორუსიელ პროლეტმწერლის — ამხ. კობეცის პიესა „გუტა“, იანოვსკის — „უნდა დაიპყროთ“ და სხ. პიესების დადგმა. იანოვსკის „უნდა დაიპყროთ“ — ეხება ჩვენი ყოველდღიურობის უაღრესად აქტუალურ საკითხს, ტრანსპორტის რეკონსტრუქციას. პიესის პოლიტიკური სიმახვილე, მისი იდეური სიმაღლე თეატრის მხატვრულ გაფორმებაში კიდევ უფრო საგრძნობი შეიქმნა. „გუტა“ ეხება გამწვავებულ კლასიურ ბრძოლას ქარხნის ფარგლებში. პიესის თემა აღებულია შუშეულობის მრეწველობიდან. პიესა იძლევა მთელ რიგ მასალებს მუშათა კოლექტივის მკვეთრი მოხაზვისათვის. მაგრამ პიესის დედა-აზრის არასწორი გაგების ნიადაგზე შესაძლებელია უდიდესი დამახინჯებაც როგორც ეს დაემართა რეალისტურ თეატრს, რომელმაც გამომგონებლის მანქანა ფეტიშად გადააქცია და ამით დაუკარგა სოციალური ღირებულება პიესას.

ქუთაისის თეატრის მიერ დადგმული იქნა მიმდინარე სეზონში ჰაშეკის „გულადი ჯარისკაცი შვეიკი“. ჰაშეკის ეპოპეია უკვე საკმაოდ ცნობილია, ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ აღნიშნული პიესის ტრაქტოვკა თეატრის მიერ. პიესის სიუჟეტის მიხედვით შვეიკი — ჩეხი ჯარისკაცია, რომელიც მსოფლიო ომის დროის ავსტრიის ყოფ. იმპერიამ გაიყვანა ბრძოლის ველზე „მეფის და სამშობლოს“ ინტერესების დასაცავად. ავსტრიის მიერ დამონებული ჩეხთა ეროვნების წარმომადგენელი ნაციონალურ და სოციალურ ჩაგვრის საპასუხოდ ეწევა აქტიურ საბოტაჟს. ეს საბოტაჟი არის პიესის სიუჟეტური ღერძი. პიესაში სასტიკი სიმახვილით გამასხარავებულია მონარქია და მთელი მისი სახელმწიფოებრივი სისტემა. ამ მხრივ დიდი შეცდომა იქნებოდა ჰაშეკის ნაწარმოებისათვის რემარკიზმში დაგვედო ბრალი. „შვეიკი“ მკაცრი კლასიური დაცინვაა მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის მიმართ. ამიტომ არის, რომ ჩეხოსლოვაკიაში მოსახლეობას და განსაკუთრებით ჯარისკაცებს აკრძალული აქვთ ჰაშეკის ამ ნაწარმოების კითხვა. ამავე მიზეზით აიხსნება ის იერიში რეაქციონური პრესისა, რომელიც გამოიწვია „შვეიკის“ დადგმამ ბერლინში, პისკატორის თეატრში. შვეიკის საბოტაჟი ისეთი რთული ფაბულარული ხერხებითაა მოცემული, რომ ავსტრიის არმიის მეთაურებს იგი არსებულ დისციპლინის ერთგულ დამცველ ჯარისკაცად მიაჩნიათ. ამაში მდგომარეობს პიესის ფოკუსი, „წინააღმდეგობათა მთლიანობა“. თვით ავტორი პიესისა იაროსლავ ჰაშეკი უშუალოდ მონაწილეობდა მსოფლიო ომში, შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოქტომბრის რევოლიუციაში და სამოქალაქო ომში, იგი არის წევრი კომუნისტური პარტიისა.

როგორ გაიგო თეატრმა აღნიშნული პიესა? მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა პიესის პოლიტიკურ მომენტებს, კაპიტალიზმის შინაგანი გადაგვარების, რელიგიის გახრწნის ყოველმხრივ გამომჟღავნებას. ამ ტრაქტოვკით პიესა უთუოდ ამახვილებს მაყურებლის კლასიურ შეგნებას, რაზმავს მის განწყობილებას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. პიესაზე მუშაობის დროს თეატრის წინაშე უაღრესად საპასუხისმგებლო და რთული ამოცანა იდგა: სახელდობრ, მხატვრული კონკრეტიზაციის პროცესში პიესას არ მიეღო პაციფისტური ელფერი, სასაცილო მომენტები არ გადაქცეულიყო „საერთო“, „ზოგად“, კლასიურ სიმახვილეს ზევით მდგარ ხუმრობად. უნდა ითქვას, რომ რეჟისორმა **(ა. ჩხარტიშვილი)** ეს ამოცანა დასძლია. ცბიერი და თვალმაქცი ჯარისკაცი შვეიკის მკვეთრი ფიგურა მოგვცა მსახიობ კვანტალიანმა. რასაკვირველია, „შვეიკის“ დადგმას აქვს თვისი ნაკლოვანებები, რომელთა მიჩქმალვა არ შეიძლება, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ თეატრმა შესძლო ზერელე სქემატიზმისაგან დაეღწია თავი. მან სათანადო სიმაღლემდე მიიყვანა პიესის პაროდიულ - სატირული ხაზი. თეატრს რომ არ ეჩვენებინა ცალკეულ მოქმედ პირთა (შვეიკი, სამხედრო მღვდელი, მედუქნე და სხვ.) კონკრეტული სოციალური ფსიქოლოგია — წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სქემატიზმამდე მივიდოდა და ნამდვილ კლასიურ ადამიანების მაგიერ უსიცოცხლო სქემებს მივიღებდით. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

კერძოდ, თუ შევჩერდებით სამხედრო მღვდლის (კოსტავა) შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპში ოსტატურად მოცემულია სასულიერო წოდების სოციალ-ფსიქოლოგიური სახე, მისი გაიძვერობა, ფარისევლობა ჯარისკაცების და თვით „ღმერთის“ წინაშეც კი. განსაკუთრებით კარგადაა გაკეთებული სცენა ეკლესიაში, სადაც შვეიკის თვალთმაქცობა უმაღლეს წერტილს აღწევს. ის სტირის მთვრალი „სულიერი მამის“ ქადაგებაზე. მღვდელს, რასაკვირველია, ეს არა სჯერა. ბოლოს შვეიკიც გამოუტყდება მას, რომ იგი გულწრფელად არა სტიროდა, რითაც ღვინით გალეშილი „სულიერი მამა“ მორალურ კმაყოფილებას ღებულობს.

ავსტრიის ყოფ. იმპერიის სახელმწიფოებრივი იერარქიის სხვა წარმომადგენლები: გენერალი **(ოგანოვი)**, პორუჩიკი **(ვაშაძე)**, ბარონესა, ექიმი და სხვ. საკმაოდ ნათლად გამოკვეთილი ფიგურები არიან. პიესაში არის ცდა მსოფლიო ომის ჩვენებისა. სცენაზე იშლება არა თვითონ ომი, არამედ მისი „ზურგი“, კულისები, სამხედრო საავადმყოფო, ეკლესია და სხვ.

დადგმას აქვს აგრეთვე ნაკლოვანებები, მათგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ფორმალიზმის ნაწილობრივი ზეგავლენა. სპექტაკლის დასასრულს მზის ამოსვლა არავითარ მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფება პიესასთან, იგი სავსებით ზედმეტია, მიუხედავად იმისა, რომ მოხდენილადაა გაკეთებული.

საბოლოოთ კი უნდა აღინიშნოს, რომ პიესა იდეიურად და მხატვრულად ძირითადში გამართლებულია.

გ. ნატროშვილი.

ლიტქრონიკა

უცხოეთი

❋ მორის ბარესის „დღიური“. ცნობილი ფრანგი მწერლის (გარდ. 1925 წ.) დღიური საინტერესოა იმ მხრივ, რომ აქაც ცხადად ჩანს ავტორის რეაქციონური და ნაციონალისტური სახე. მორის ბარესი თავის დროს ფრანგული კონსერვატიზმის წარმომადგენელი იყო ლიტერატურაში, რომელიც განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა ძველი რესპუბლიკის პატრიოტებს. თავის „დღიურში“-აც მორის ბარესი ამჟღავნებს ანტიპატიას ყოველგვარი რევოლიუციონურისადმი. ის სიძულვილით იხსენიებს ზოლასა და ფლობერს თავისი „სინიდის წიგნშიც“. სამაგიეროდ მიშლესა და ჰუგოს აპოლოგია არა ერთგზით არის გაზვიადებული.

მორის ბარესის უმთავრესი თხზულებაა: „ჩემი მე-ს კულტი“.

❋ „მე-19 და მე-20 საუკუნის ხელოვნება“. პლასტიური ხელოვნების ისტორია, ქანდაკების, მხატვრობის და ხუროთმოძღვრების სტილოლოგია გერმანეთში ბურჟუაზიული მეცნიერების მიერ საკმაოდ და თავისებურად არის დამუშავებული. **ვოლჰელმ ვორინგერი, ვიოლფლინი, ჰაუზენშტაინი** და სხვები — აი სახელები, რომელთა ცალკეული კვლევების გავლენის ქვეშ იწერება არა თუ ხელოვნების ისტორია საზოგადოდ, არამედ ლიტერატურის ისტორიაც.

რუსეთი

✱ „სიკვდილის კალთებში“. ლენინგრადში გამოვიდა პ. ლუკნიცკის წიგნი „სიკვდილის კალთებში“. წიგნში მოთხრობილია ერთი გეოლოგიური ექსპედიციის ამბავი, რომელიც 1930 წელს გაემგზავრა პამირზე და ტყვედ ჩაუვარდა ბასმაჩებს. ავტორი აგვიწერს ტყვეობაში ყოფნას, ბასმაჩების ყოფას და ბოლოს, ტყვეობიდან განთავისუფლებას, რაც მოხდა ბასმაჩების ბანაკის სწრაფი დაშლის და წითელარმიელთა ნაწილების მოხერხებული ტაქტიკის შედეგად.

✱ „თანამგზავრები“. მოსკოვის დრამატიული თეატრი (ყოფ. კორშის) დასადგმელად ამზადებს ლ. სეიფულინას პიესას მწერალთა ცხოვრებიდან — „თანამგზავრები“. პრემიერა ნაჩვენები იქნება აპრილის შუა რიცხვებში. პიესას დგამს კ. მარჯანიშვილი.

უკრაინა

✱ უკრაინის სამეცნიერო აკადემია გამოსაცემად ამზადებს აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურულ ალმანახს, რომელშიაც ქართულ ლიტერატურას დათმობილი აქვს 60 გვერდი.

✱ თეატრი და კინო. 7-8 აპრილს კიევის თეატრში დანიშნულია ქართული მუსიკის კონცერტი. შესრულებული იქნება ნაწყვეტები ზ. ფალიაშვილის ოპერიდან—„აბესალომ და ეთერი“-დან და „დაისი“-დან.

ამჟამად კიევის კინო - ინსტიტუტში სწავლობს (სარეჟისორო ფაკულტეტზე) ამხ. გაბუნია, რომელიც ასისტენტად აიყვანა ცნობილმა რეჟისორმა დავჟენკომ.

საქართველო

პავლე საყვარელიძის ახალი რომანი

იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა პავლე მ. საყვარელიძის ახალი რომანი „ქვა და რკინა“.

„საბავშო ლექსები“. იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა პოეტ **გიორგი ქუჩიშვილის** საბავშო ლექსების წიგნი. გამოცემა სახელგამის.

◆ „ნოველები“. გამოვიდა სიმ. წვერავას ნოველების წიგნი: „ნოველები“, გამოცემა სახელგამის და ნარკვევი ხუთწლედის გმირებზე: „სტალინელები“. გამოცემა „შრომა“-სი.

◆ „ქართლის ტრამალები“. ახლო ხანში გამოვა შალვა შაველაშვილის ლექსების წიგნი: „ქართლის ტრამალები“. გამოცემა სახელგამის.

◆ „ჩინური ნოველები“. სახელგამმა გამოსცა კ. ერდბერგის ნოველების კრებული „ჩინური ნოველები“.

◆ „ჩამქრალი კერა“. სახელგამმა გამოსცა ახალგაზრდა პროლეტარული ბელეტრისტის მ. გვასალიას მოთხრობა „ჩამქრალი კერა“.

◆ წიგნი საბჭოთა მშენებლობის თემაზე. იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ელ. პოლუმორდვინოვის წიგნი ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობაზე: „გიგანტის მშენებლები“.

დრამატურგების მუშაობაში მიზიდვა.

რუსთაველის თეატრთან მოეწყო სალიტერატურო ორგანიზაცია, რომელიც ამოცანად ისახავს მჭიდრო კავშირი დაამყაროს საბჭოთა კავშირის ყველა ლიტერატურულ-თეატრალურ ორგანიზაციებთან.

ამავე დროს თეატრი აწყობს თეატრთან საქართველოს პროლეტდრამატურგების გაერთიანებას — დამწყებ მწერლების მოსაზიდად და სათეატრო მუშაობაში ჩასაბმელად.

სარედაქციო კოლეგია
რ. გვეტაძე, დ. დემეტრაძე (პ.-მგ. რედაქტორი), შ. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი, შ. რადიანი, ბ. ჟღენტი, პ. ჩხიკვაძე, ლ. ქიაჩელი.

რედაქცია მოთავსებულია ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა სასახლეში, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონი 1-65.
გამომცემლობა „ფედერაცია“

პროზის საწარმოო თათბირი
სამშაბათს, 5 აპრილს საღამოს 7 საათზე
ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა სასახლეში
გაიხსნება

პროზის საწარმოო თათბირი

მომხსენებლები: **გ. ნატროშვილი, პ. ჩხიკვაძე და ბ. ჟღენტი**
კამათში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან:

ნ. ზომლეთელი
ლეო ქიაჩელი
შ. რადიანი
ლ. ასათიანი
რაჟ. გვეტაძე
ს. ჩიქოვანი
ა. არსენიშვილი
ა. ჭუმბაძე
დ. გენაშვილი
ფ. ნაროუშვილი
ს. კლდიაშვილი
ნ. მიწიშვილი
ტ. ტაბიძე
ი. მოსაშვილი
ერ ასტვაცატუროვი
ლომიძე
დ. შენგელაია
კ. მელაძე
დ. დემეტრაძე
გ. გუხნიკაშვილი
ს. ეული
კ. ლორთქიფანიძე
მიხ. ჯავახიშვილი
დ. სულიაშვილი
პ. სამსონიძე
ა. ქუთათელი
ს. თალაკვაძე
ვ. ლუარსამიძე
ა. მაშაშვილი
კ. კალაძე
ე. პოლუმორდვინოვი
პ. საყვარელიძე
ივ. ვაშაყმაძე
ბ. ჩხეიძე
ა. ჩაჩიბაია
მიხ. ჩიქოვანი
ი. ლისაშვილი
შ. აფხაიძე
ვ. ლეონიძე
ირ. აბაშიძე
პ. შარია
ლ. მეტრეველი
აკ. ბაწელია
ვ. ჟურულ
ა. სულავა
შავგულიძე

ტირაჟი 4000.
სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 856.